შაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 30 (13) № 234

წელიწადი მესამე

შაბათი, 1917 წ. ენკენისთვის 30 (13) № 234

ფასი 15 კაპ.

# საქართველო

**რედაქცია**

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის ვინაობა და მისამართი. უპირობოთ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია ღიაა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადათ მოლაპარაკება შეიძლება ამავ დროს.

**მისამართი:** თბილისი, მოსკოვის ქ. № 4, ფოსტის ადრესი: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. ტელეგრამის ადრესი: Тифлисъ. Сакартвело.

**კონტორა**

გაზეთის ფასი პირველ ენკენისთვიდან წლის დამლევამდე 12 მან. ერთი თვით (მხოლოთ თბილისში) 3 მან. ცალკე № 15 კაპ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 40 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საქართველოს გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხამგლოვიარო განცხადება თითოჯერ ზომით: 15×2=8 მანეთი, 20×2=10 მანეთი, 30×2=15 მანეთი. მისამართის გამოცვლა ღირს ქალაქში 75 კაპ. ქალაქს გარეთ 1. მანეთი ფული და წერილები, რომელიც კონტორას შეეხება უნდა გამოიგზავნოს კონტორის სახელზე. საჩქარო განცხადებანი უნდა მოტანილ იქმნას არა უგვიანეს $1^1/_2$ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს-მდე.

**ტელეფონი** რედაქციისა და კონტორისა **15—73**

## გაზეთის შინაარსი

### საგულისხმო ცნობები

ბალტიის ფლოტის ყრილობა ბოლშევიკებს მიემხრო.—გერმანელთის ფლოტში არეულობა მომხდარა. დამნაშავენი სასტიკად დაუსჯიათ.—ფინლიანდიელები აცხადებენ, თუ რუსეთს ფინლიანდიის თავისუფალი რესპუბლიკის მოკავშირეობა ჰსურს, ან ტერიტორია დაგვითმოს ან და სავაჭრო პრივილეგია მოგვცესო.—რუსეთის ფრონტზე გერმანეთს და მის მოკავშირეებს 1302 დივიზია ჰყოლიათ.

### წერილები

**მეთაური.** მთავრობის ახალი დეკლარაცია.
**გ. ჟანელიძე.** ქაღალდის ფული.
**რუსული პრესა.** ქართველები დემოკრატიულ თათბირზე.

**პროფ. ივ. ჯავახიშვილის** მოხსენება ქართულ უნივერსიტეტისათვის.
**დ. ვედრებისელი.** ჩემი დღიურიდან.
**ქ. მარტვილელი.** არტაანის მხარე.
**კორესპონდენცია.** გურიიდან.
**ათონის** მონასტრის საქმე.

28 ენკენისთვეს მიიცვალა

**ქნ. ნატალია ლეონიდის ასული**

**ბარათაშვილისა**

რასაც გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ ნათესავნი განსვენებულისა.

წირვა და პანაშვიდი გადახდილ იქნება ქაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში 10 საათზე, 30 ენკენისთვეს; დაკრძალვა იმავე დღეს, ვერის წმ. ნიკოლოზის სასაფლაოზე.

1—807—1

**ქართული კლუბი**

**ქართული დრამა**

წარმოდგენა № 3.

შაბათს, 30 სექტემბერს, ქართული დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

I

**ს ი ც რ უ ე**

დრამ. ეტ. 1 მოქ. თარგ. შ. ხოხელისა.

II

ა. ცაგარლის მხიარული კომედია

**რაც გინახავს—ვეღარ ნახავ**

3 მოქმ.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი ზრუნვით 8 საათზე.

წარმოდგენაზე შესვლა შეუძლია ყველას.

მეხამე ზარის შემდეგ დარბაზში აღარ შეუშვებენ.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

შემდეგი წარმოდგენა ორშაბათს, 2 ოქტომ. „გაზაფხულის ნიაღვარი“.

2—783—2

**ქართული კლუბი**

**ქართული დრამა.**

წარმოდგენა № 4.

ორშაბათს, 2 ოქტომბერს, ქართული დრამის მიერ წარმოდგენილი იქნება

**გაზაფხულის ნიაღვარი**

დრ. 4 მოქ. კოსოროტოვისა, თარგ. ვ. გუნიასი.

მონაწილეობს მთელი დასი.

დასაწყისი 8 საათზე.

რეჟისორი ვალ. შალიკაშვილი.

2—784—1

ექიმის თანაშემწე

**ვანო სააკაშვილი**

ღებულობს ავადმყოფებს სად. 4—6 საათ.—ვენერიულ სნეულთა წამლობა, კანქვეშ წამლის შეშხაპუნება. სისხლის ნაკლებით, ნერვებით აშლილთ, სიფილისიანთ და სხ. ელექტრონაციით წამლობა, მასაჟი, ყვავილის აცრა და სხ. მისამართი: ფესანაურის შესახ. № 3. (1-ლი სამილიციო ნაწილი).

27—748—თ.

ექიმი

**ა. დ. კეკელია**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე საღამოობით 6-დან 8-მდე. კანის, ვენერიულს და ათაშანგით (სიფილისი) (606-ს და 914-ს შეშხაპუნება) ავადმყოფებს. მიხეილის პროსპექტი № 116.

(თ—703—20)

სამკურნალო კაბინეთი

**პ. ს. ფონ-ირტელისა**

ქირურგიულ-ვენერიულ და კანის ავადმყოფობათა სპეციალი სამკურნალო წამლობა ელექტრონით და ოპერაციები, წამლობა „914“-ით და „606“-ით. ავადმყოფთა მიღება: 9—12 საათამდე დილისით და $4^1/_2$—8 საღამოთი. მიხაილოვის პროსპექტის კუთხე № 128, კრილოვის ქუჩა № 1. ოგანეზოვის სახლი. მეორე შესავალი კრილოვის ქუჩით.

დოქტორი მედიცინისა

მოსე ანთიმოსის ძე

**კალანდარიშვილი**

უმცროსი ექიმი თბ. კადეტთა კორპუსისა.

ბავშვთა, შინაგან და ქირურგიულ სნეულებიან ავადმყოფებს მიიღებს დილის 8—9-მდე საღამოს 5—7. ტელეფ. № 17—21.

ექიმი

**დ. ვ. ჯავახიშვილი**

იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ ყოველ დღე გარდა კვირისა საღამოს 5-დან 7 საათამდე. გუნიბის ქუჩა № 41

თ—719—22

ექიმი

**გ. ი. [illegible]**

[illegible]

**თბილისი, ენკენისთვის 30.**

## მთავრობის ახალი დეკლარაცია

პეტროგრადის დემოკრატიულ თათბირის მიერ ხელით შემდგარმა ახალმა მთავრობამ გამოაქვეყნა თავისი დეკლარაცია.

ჩვენ ვიცით, რომ მწვავე დავა და კამათი გამოიწვია ამ თათბირზე თვითონ ახალი მთავრობის შედგენის საკითხმა, როგორი გაითიშა დემოკრატია შიგნით და მოსალოდნელი შეიქნა სრული გაკოტრება ახალი თათბირისა.

მაგრამ ჰკუა მახვილმა ულისმა წერეთელმა მოახერხა, რომ მომხდარიყო ერთგვარი შეთანხმება და კოალიციის პრინციპმა გაიმარჯვა და ახალი მთავრობა აქვეყნებს დღეს დეკლარაციას.

საგულისხმოა, რომ არასდროს ისე მძლავრი არ ყოფილა „ბოლშევიკების“ იერიშები, როგორც პეტროგრადის თათბირზე, მათ შუა გაყვეს თათბირი და გარიყვას უპირველესი ცენზიან რუსეთი, მოსალოდნელი იყო, რომ ცენზიანი ელემენტების დათმობა ამის გამო დიდი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ახლად გამოქვეყნებული დეკლარაცია არა თუ გადახარია უფრო მარცხნივ, არამედ, პირიქით, ყოვლად უქვეო მთავრობას არ გადაუხვია ძველ ნაჩვევ გზიდან.

პირველ ყოვლისა აქ ძალაშია ძველებური დებულება კადეტებისა, რომ ყველა მთავარი საკითხი სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრებამდი უნდა გადაიდოს, ის ერთი იქნება ყველაფრის გამკითხავი და მსაჯული. ამასთან ამ დეკლარაციაში გამოტოვებულია ნაჩვევი ტრაფარეტი, რომელიც მეორდებოდა ამდენჯერ ყველა რეზოლუციებში და დეკლარაციებში, რომ დამფუძნებელი კრება, რაც შეიძლება მალე იქმნას მოწვეული.

აგრეთვე იმ მუხლში, რომელიც ეხება ზავის საკითხს, გამოტოვებულია, რუსეთის რევოლუციიდან ასე შეყვარებული ფორმულა „ზავი უანექსიოდ და უკონტრიბუციოთ“ „და ერთა თვითგამორკვევის პრინციპი“, აქ მხოლოდ ზოგადად არის გამოთქმული ზავის სურვილი და თან მიმატებულია ენერგიული ფრაზა „რომ ერთგულად მიჰყვება თავისი ძალ-ღონით მოკავშირეთა საერთო საქმეს, ეცდება რუსეთის სხვის ნებას არ დაემორჩილოს და სამშობლოდან მტრის ჯარი განდევნოს.

არავითარი ახალი ხაზი არ არის შეტანილი მიწისა და ეროვნულ საკითხის პრაქტიკულ გადასაჭრელად და არც სხვა რამ აქვს ნაჩვენები ისეთი საშუალებანი, რომელთაც შეეძლოთ დაეყენებინათ რუსეთის პოლიტიკა ახალს გზაზე გამოიყვანოს.

თუ მივიღებთ მხედველობაში მთავრობის შინაარსს წარსულში, არავინ არ გულისხმობს, რომ უკანასკნელი მთავრობა იქნება ის ძლიერი მთავრობა, რომელსაც აძლევს ხალხი უმეტესი ულის რუსეთი.

რუსეთის შინაური ცხოვრება კი თანდათან იწვევს, მთელ გუბერნიები მოცულია ცეცხლით, თანდათან ხშირდება თვითნებობა და თვითგასამართლება, გაფიცვები სახიფათო სახეს იღებს და ანარქია ეპატრონება ქვეყანას.

რევოლუციური ენერგიაც დუნდება და ბევრის ლოდინიც მოსწყინდა.

საჭიროა მეტი ზომები, და ახალი სახელმწიფოებრივი აღშენებლობა.

ქ. მარქსი ამბობდა საფრანგეთის დამფუძნებელ კრებაზე, ამ კრებამ ნოტარიუსის მოვალეობა შეასრულა და ზავის ხელის მოსაწერად იქნა მოწვეული.

თუ რუსეთის მთავრობამ ძალა მაინც არ იმარჯვა, შესაძლებელია რუსეთის დამფუძნებელ კრებამ ნოტარიუსის როლიც ვერ ითამაშოს...

## ქაღალდის ფული

გარეთ და შიგნით იმი—აი რამ გამოიწვია ზომაზედ მეტად ის „ტკბილი ქაღალდის შხამი“, რომელზედაც ესე უყვარს ლაპარაკი ყოფილ მინისტრ სკობელევს.

კერენსი რუსულ ფონდისა იმის პირველ დღიდანვე შეირყა და პარიზი დღითი დღე აღნიშნავს რუსულ დივიდენდების მაზანდის დაცემას.

ძველ რუსეთის გამოცდილი და ფინანსიური საიდუმლოებში გამოქნილი ფინანსისტები ახერხებდნენ შეერჩინათ ეს პროგრესიული ავადმყოფობა, მაგრამ როდესაც პოლიტიკურ ცვლილების შემდეგ გამოუცდელი და გულწრფელად მომქმედი დემოკრატია დაუდგა სახელმწიფოს სათავეში, რუსულ დირექტორების მაზანდის დაცემამ კატასტროფიული ხასიათი მიიღო. შიგ რუსეთშიაც ეკონომიური ხასიათის ექსცესებმა თვალსაჩინოდ შეუწყვეს ხელი ამ დაცემას. ამის შესახებ პროფესორი ოზეროვი ერთ თავის უკანასკნელ წერილს ესე ათავებს:—ვიცით, მე როგორც ეკონომისტი, ვამტკიცებ: ჩვენ ეკონომიური განადგურებას გვიმზადებენ. ამ ქამად ქვეყნის ეკონომიურად მოწყობის საქმეს ჩამოაშორებს ყველა ის პირნი, ვინც ამ საკითხს იცნობს და შეუსწავლია. ჩვენ დაღუპვის გზით მივექანებით და მე სინიდისი არ მომისვენებს არ უთხრა მათ, ვისაც განგებამ ჩააბარა ჩვენი ქვეყნის მართვის ბედი: გონს მოდით, თქვენ, ახლად მოსულნო! ვხედავ, რომ ცხოვრებისაგან ცოტა რამ უკვე დაისწავლეთ, მაგრამ ბატონებო, ეს სწავლა სწორმიებს სახელმწიფოს ცოცხალ სხეულზედ და ვიდრე თქვენ სწავლობთ, სამშობლო ჩავარდება იმგვარ მდგომარეობაში, რომ შეუძლებელი გახდება მისი ეკონომიურად ფეხზე წამოყენება“.

აი ამ ექსპერიმენტებმაც, სხვა მიზეზთა გარდა, გამოიწვიეს ის საშინელი ფინანსიური მდგომარეობა, რომლის შედეგებს ჩვენ რუსულ ქაღალდის ფულის მაზანდაში ვხედავთ ფინლიანდიასა და სპარსეთში. ეკონომიურად უძლური ფინლიანდია ზიზღით უყურებს რუსულ ქაღალდის ფულს და უპირველეს საბუთად ქაღალდის ჩაცემასაც კი ხაზობს წინ წაგიერად. (ფული ნაწილი საბუთად ქაღალდისა ფინლიანდიიდან შემოაქვთ რუსეთში).

გაკოტრებული სპარსეთი თვით რუსეთის ვალებში ჩაჩენილი შეიდ კაპეიკის მეტის ღირებას ვერ ჰპოვებს რუსულ მანეთში. ახლად გამოსულ ათასიანებს კი აქ საერთოდ არ იღებენ. თურმე პეტრე დიდის და ეკატერინეს დროების ხუთასიანში და ასიანში რომ გამოსცვლიან, უფრო სანდოში ყოფილან, ვიდრე მედიდური თავისუფლების ემბლემა ტავრიდის სასახლის ფასადით გამოხატული ახალ ათასიანებზე.

უკანასკნელ დღეებში ხმები, ვითომ რუსულ ფულმა აიწია სპარსეთში, მაგრამ ეს მართალი არ არის. საქმე შემდეგშია: ამას წინად მთავრობამ ნება დართო სპარსეთში ასი ათასი ფუთი შაქრის გატანა. რამოდენიმე სპარსეთის დიდმა ბანკმა ეს თამანეთში ქეშპომა დაიწყო, რამაც მხოლოდ ამ საქონლის ყიდვის დროს რუსულ მანეთის მაზანდა 18 კაპეიკამდე აიწია. სხვა საქონლისათვის ისევ ისე ძველი მდგომარეობა დარჩა. რომ გაძვირება გაცვლის დროს ცოტათი შეამსუბუქოს, რუსეთის მთავრობას უნდოდა ამერიკაში ფუნტსტერლინგის ზოლის ყიდვა და მისი სპარსულ კრანებით მოქმა. ამ საშუალებით ინახავს ის სპარსეთში მომქმედ გენერალ ბარათაშვილის კორპუსს.

მაგრამ მდგომარეობა იმდენად მძიმეა, რომ პალიატივებით საქმე ვერ გამოსწორდება: მხოლოდ იმის გათავება უშველის საქმეს, ვინაიდან სწორედ ეს ომია, რომ „ჭიანს“ უმეტეს ნაწილს ამ „ტკბილ ქაღალდის შხამისას“. საჭიროა ქვეყნის ეკონომიურ მდგომარეობის შესაფერ კანონების გამოცემა და ამით დაფუძნებულ კაპიტალების დაშვიდება.

საჭიროა საშუალება მიეცეს ყველას თავიანთ ეროვნულ ბუნებრივ სიმდიდრის გამოყენებისა, მრეწველობის აყვავებისა და ეროვნულ დოვლათის დაგროვებისა. უამისოდ ამ „ტკბილი შხამით“ მოწამლული და დაუძლურებული ქვეყანა ვერ შესძლებს სხვა ეკონომიურად ძლიერ ქვეყნებთან ბრძოლას.

გ. ჟანელიძე.

## რუსული პრესა

### ქართველები დემოკრატიულ თათბირზე.

ქართველების დემოკრატიულ თათბირზე გამოსვლას არა ჩვეულებრივი გულისყურით შეხვდა რუსეთი. აი რას სწერს გაზეთ „ზვლია“-ში გ. მაჩაბლის სიტყვის შესახებ, ცნობილი რუსი მწერალი კონდურუშკინი:

ენკენისთვის 17-ს დემოკრატიულ თათბირზე ქართველ[illegible] გულდი[illegible] გამოვიდა.

მან გამოაცხადა, რომ ქართველებსაც ჰსურთ დამოუკიდებლობა. ისინიც ღრმად დარწმუნებულნი არიან, რომ სხვებთან ერთად, თავისუფალ რუსეთის სახელმწიფოში თავისუფალ თვითმართველობას ეღირსებიან. მაგრამ ქართველები ეროვნულ საკითხზე აქამდის ხმას არ იღებენ. მათ არ ჰსურთ კიდევ სხვა სიძნელე წაუყენონ საერთო სამშობლოს—რუსეთს. ქართველებს არ ჰსურთ გაძნელონ რუსეთის სახელმწიფოებრივი გარდაქმნა.

ქართველები რწმენით და მოთმინებით იცდიან.

უნდა მოვუსმინოთ რა მშვენიერ ტონით შეეხება მთელი დარბაზი ამ კეთილშობილურ სიტყვებს!

და აი, მხოლოდ ზოგიერთთა ვრმა გამოიჩინა ასეთი სახელმწიფოებრივი ნიჭი. ისინი მეგობრულად შეთანხმებს სხვებთან ერთად და თან იცდიან.

გასაგებია ის აღტაცება, რომელიც ქართველთა წარმომადგენელმა გამოიწვია. და ქართველები ხომ მალოროსები არ არიან! მალოროსები—იგივე რუსი ერია. იგივე კულტურა, იგივე ენა, ზნე და ჩვეულებანი. მათ შორის მხოლოდ და მხოლოდ უმნიშვნელო განსხვავებაა.

ქართველები კი სულ სხვა ხალხია. მათ თავიანთი კულტურა აქვთ, თავიანთი ენა, ზნე და ჩვეულებანი. რუსეთიდან მათ კავკასიის მთები აშორებს და თითქოს მზადაა ყველა პირობები რომ „ქართული რესპუბლიკა“ გამოცხადდეს. მაგრამ ქართველებში კეთილშობილური სიდინჯე და დარბაისლობაა... ქართველები იცდიან!

## ომი და ზავი

### დეპეშები

**აღმოსავლეთის ფრონტი.**

რუსეთის შტაბის ცნობა.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 27. ოფიციალური. **ჩრდილოეთის ფრონტი.** სოფელ ოკსულის რაიონში ჩვენს მოწინავე რაზმებს მტერმა მძაფრ არტილერიით აუტეხა სროლა. პსკოვის გზატკეცილის სამხრეთით მტრის არტილერია დიდ მოქმედებას იჩენდა. სპიტალის სამხრეთ-აღმოსავლეთით მტერმა ჩვენს ასპარეზს 2400 ყუმბარა ესროლა.

**დასავლეთის ფრონტი.** მიაძიოლის ტბის ჩრდილო რაიონში სასტიკი საარტილერიო სროლა.

**რუმინეთის ფრონტი.** სროლაა.

**კავკასიის ფრონტი.** არსებითი არა არის რა.

**ბალტიის ზღვა.** ენკენისთვის 25.

[illegible]

ბრუსილოვიჩმა მტრის მფრინავი ჩამოაგდო. ბუჩარის მახლობლად ფრანგ მფრინავებმა ლაკლმონმა და კუჯურიემ მტრის ჰაეროპლანი ჩამოაგდეს. ჰაეროპლანი დაიწვა.

## რუსეთის სტრატეგიული მდგომარეობა

**ბანაკი.** ენკენისთვის 27. პეტროგრადის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტს უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი დუხონინი ეწვია. საუბრის დროს დუხონინს აღუნიშნავს, რომ მეტად გაზვიადებულია ის ხმები, ვითომც ჯარი მთლად დაშლილიყოს და ბრძოლის ნიჭიც დაეკარგოს. მარტო იმის აღნიშვნა აქ საკმაოა, რომ ჩვენი ჯარი მტრის 1302 დივიზიას აჩერებს, ამით, რა თქმა უნდა, მნიშვნელოვან მონაწილეობას ღებულობს მოკავშირეთა საერთო საქმეში. ზამთრის მოახლოვების გამო ძნელად თუ შესაძლებელი რაიმე თვალსაჩინო შეტევა. შესაძლოა მტერი აქა-იქ აქტიურ მოქმედებას შეეცადოს, მაგრამ ყოველი შესაძლებლობა გათვალისწინებული გვაქვს და ზომებიც მიღებულ მის წინაამდეგ. ზოგიერთი ცნობებით თუ მოხდება რამე, ისევ დვინის მიმართულებით, ანდა რუმინეთის ფრონტზე. რაც შეეხება საზღვაო მოქმედებას—ეს ამინდზეა დამოკიდებული. შესაძლოა მტერი შეეცადოს რიგის ყურის დაჭერას. ეს შეძლებას მისცემს გაბრლუსის ირბენის სრუტე და რამდენიმე კუნძულები დაიპყრას. მაგრამ ამის შესახებ ნამდვილი ცნობები არ მოგვეპოვება. ამ ცოტა ხანში ჩვენს კუნძულებს თავს დაესხნენ მტრის მფრინავები, მაგრამ ამით თვალსაჩინო შედეგებისათვის არ მიუღწევიათ. საერთოდ კი ზამთრის მოახლოვებამ მეტად შეცვალა მდგომარეობა და სამხედრო მოქმედებაც შეამცირა.

## მინისტრების თათბირი ბანაკში.

**ბანაკი.** ენკენისთვის 27. დილის 9 საათზე ჩამოვიდნენ კერენსკი, სამხედრო მინისტრი ვერხოვსკი, საზღვაო მინისტრი კონტრ-ადმირალი ვერდერევსკი და სამხედრო მინისტრის კაბინეთის უფროსი. მათ ჩამოსვლისთანავე თათბირი დაიწყო. მონაწილეობენ უმაღლეს მთავარსარდლის შტაბის უფროსი დუხონინი, მისი თანაშემწე ვირუზოვი და გუშინ სმოლენსკიდან ჩამოსული ალექსეევი.

## საფრანგეთის ფრონტი.

**საფრანგეთის ბანაკის ცნობა.**

**პარიზი.** ენკენისთვის 24. (დაგვიანებულია) მთელ დღის განმავლობაში ქვეითა ჯარს შეტაკება არ ჰქონია. ბელგეთში, მდ. ენის სხვა და სხვა პუნქტებში და მაასის მარჯვენა ნაპირზე დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**ინგლისის ბანაკის ცნობა**

**ლონდონი.** ენკენისთვის 26. ოფიციალი. იპრის აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით ენკენისთვის 26-დან მოკავშირეთა ჯართან ერთად შეტევა დავიწყეთ.

**ლონდონი.** ენკენისთვის 27. ოფიციალი. დიკსმოიდის ჩრდილო-აღმოსავლეთით ბროოდსეინდედან—სენჟანბეკამდე, იმის და მიუხედავად რომ დიდი წვიმა და ლაფია, ფრანგებთან ერთად მარჯვე იერიშები მოვახერხეთ. ბროოდსეინდეს აღმოსავლეთით ავსტრალიის ჯარმა ხატიოვის კალთებზე წაიწია. მარცხენა ფრთის ცენტრში პელკპელე მთლად დავიჭირეთ. ინგლისის ვალიის და ირლანდიის ჯარმა და გვარდიელებმა გუტულსტის ჭალაკამდე მიაღწიეს. ჩვენ ფრონტზე ფრანგები მლინარე ბრემბეს გადავიდნენ და რამდენიმე სოფელი დაიჭირეს. ამ ჟამად ტყვეთა რიცხვი 1000 აღემატება.

## აღმოსავლეთის ფრონტი.

**ბრძოლა ეგვიპტეში.**

**ლონდონი.** ენკენისთვის 26. პალესტინაში ცვლილება არ არის. ენკენისთვის 24 გაზის აღმოსავლეთით ჩვენ ოსმალებს თავს დავესხით. მტერმა 20 კაცი დაჰკარგა.

**ახლო აღმოსავლეთი.**

**პარიზი.** ენკენისთვის 24. ბარდარის ფრონტზე ენკენისთვის 23-ს დიდი საარტილერიო ბრძოლა იყო.

**იტალიის ბანაკის ცნობა.**

**რომი.** ენკენისთვის 26. კოსტა ბელას ზეგნზე ძლიერი საარტილერიო მომზადების შემდეგ ავსტრიელებმა ჩვენს მოწინავე პოზიციებს შემოუტიეს, მაგრამ ყველა იერიშები მოვიგერიეთ. ვინნოიცას ზეგანზე ენკენისთვის 23 არტილერია მძლავრად მოქმედებდა; ამას მოჰყვა ქვეითა ჯარის შეტაკებანი, რომლის დროსაც ტყვედ წამოვიყვანეთ 100 კაცი და ხელთ ვიგდეთ 5 ტყვიის მფრქვეველი. კარსოზე ძლიერი საარტილერიო ბრძოლაა.

## გერმანელთა წყალ-ქვეშას გაპარვა.

**მადრიდი.** ენკენისთვის 25. შეპყრობილი გერმანელთა წყალ-ქვეშა გაიპარა.

## რუსეთის ელჩი ესპანეთში.

**პეტროგრადი.** ენკენისთვის 27. სახელმწ. საბჭოს წევრი მ. ა. სტახოვიჩი ესპანეთის მეფესთან საგანგებო ელჩად დაინიშნა.

## მდგომარეობა ოსმალეთში.

**მოწინავე ლაშქარი.** ენკენისთვის 27. ტყვე ოსმალთა სიტყვით ოსმალეთის პროვინციებში დეზერტირთა ბრბოები ანარქიას იწვევენ. სტამბოლში სრული წესრიგია, რომელსაც ოსმალეთის პოლიციის გარდა იცავენ გერმანელი მეზღვაურნი და ავსტრიელი არტილერისტები.

## ხმები გერმანეთის რევოლუციის შესახებ.

**მოწინავე ლაშქარი.** ენკენისთვის 27. დვინსკის ფრონტზე ხმები გავრცელდა გერმანეთში რევოლუციის დაწყების შესახებ. საფუძვლად ამას დაედო გადმოსულ გერმანელთა ჩვენება, გერმანეთში შფოთვარება დაიწყოო. მეორეს მხრით მტრის ჯარის ზურგში თოფისა, ტყვიის მფრქვეველებისა და ზარბაზნის სროლა ისმოდა. უშენდნენ თავისავე სანგრებს. აქ ხმებს ეჭვით შეხვდნენ. ამბობენ, გერმანელები ვარჯიშობენ და ემზადებიან იმ შემთხვევისთვის, თუ მათი სანგრები ავიღეთო.

## ბერნის კონფერენცია.

**პარიზი.** ენკენისთვის 25. საფრანგეთის შრომის ფედერაციამ პროტესტი განუცხადა მთავრობას იმის გამო, რომ მან ბერნის კონფერენციაზე დასასწრებლად სინდიკალისტთა დელეგატებს პასპორტები მისცა.

## ზღვაზე.

**სევასტოპოლი.** ენკენისთვის 27. ჩვენმა გემებმა დაატყვევეს ჩაით დატვირთული ოსმალთა გემი.

## გერმანელთა მამულიშვილების პარტია.

**სტოკჰოლმი.** ენკენისთვის 26. ვოლფის სააგენტო იუწყება, რომ გერმანეთის რეიხსტაგის საბიუჯეტო კომისიამ მიიღო დამატებითი სესხის კანონპროექტი. მას წინააღმდეგ მხოლოდ სოციალდემოკრატები წავიდნენ. დღისით საბიუჯეტო კომისიაში მიხაელისმა ილაპარაკა იმის შესახებ, თუ რა დამოკიდებულება აქვს მამულიშვილთა პარტიის ოფიციალ აგიტაციასთან. კანცლერმა აღნიშნა, რომ სახელმწიფო სამსახურის პირთ უფლება აქვთ თავისუფალ პოლიტიკურ რწმენისა, მაგრამ მათგან ისე ძალდატანება, რომ ამა თუ იმ პარტიის რწმენა გაიზიარონ სხვებმაც—შეუწყნარებელია. კონსერვატიულ პარტიის ორატორმა პოლიტიკურ აგიტაციის წინააღმდეგ ილაპარაკა. მან აღნიშნა, რომ საჭიროა ბრძოლა იმ მშვიდობიან ძალის წინააღმდეგ, რომლითაც მტრის აგენტებს ჯარისა და ხალხის შეპყრობა ჰსურთ. ცენტრის წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ საჭიროა მოისპოს ის აგიტაცია, რომელსაც საზოგ ნოტაზე გაცემულ პარტიის წინააღმდეგ აწარმოებენ. დასასრულ მიხაელისმა აღნიშნა, რომ მხოლოდ 5 შემთხვევა იყო ისეთი, რომ უფროსები ცდილობდნენ პოლიტიკური გავლენა მოეხდინათ მის ხელქვეითებზე.

## არეულობა გერმანეთის ფლოტში

**სტოკჰოლმი.** ენკ. 24. ვოლფის სააგენტო იუწყება: საზღვაო მინისტრმა ფონ-კაპელემ რეიხსტაგში შემდეგი განაცხადა: „სამწუხაროდ, რუსეთის რევოლიუციამ ჩვენს ფლოტში ზოგიერთ პირებს რევოლიუციური იდეები გაუცხოველა. აზრათ ჰქონდათ ფლოტის დასუსტება და ზავის ძალად მოხდენა. (ხმები მარჯვნიდან სირცხვილია“). მე წინადადება მივეც ფლოტის უფროსებს, რომ წინააღმდეგობა გაუწიონ ფლოტში აგიტაციის გავრცელებას. ფლოტში მომხდარ ამბების შესახებ მე აქ სიტყვას არ გავაგრძელებ. ზოგიერთებმა დაივიწყეს თავისი მოვალეობა, და დიდ დანაშაულისათვის კიდეც დაისაჯნენ, მაგრამ ფლოტში ერთი წუთსაც არ ყოფილა ისეთი მდგომარეობა, რომ რაიმე საფრთხე განემზადებინა. ასე იქნება შემდეგშიც“. მინისტრის შემდეგ სოციალდემოკრატმა დავიდმა ილაპარაკა. იგი მოითხოვდა რომ მოესმინათ დასჯილების განმარტება. დამოუკიდებელმა სოციალისტმა ჰააზემ მინისტრს დამტკიცების წარმოდგენა მოსთხოვა. ჰააზეს სიტყვით, როგორც მისთვის ერთ მეზღვაურს გადაუცია—მეზღვაურები მეტად უკმაყოფილო არიანო. დამოუკიდებელი სოციალისტი ფოგტჰერი აცხადებს: მინისტრის სიტყვით შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილების გამოტანა, თითქოს გეგმას ჩვენ ვაძლევდეთ, ეს ტყუილია. დამოუკიდებელი სოციალისტი დიტმანი აცხადებს, რომ იმასაც ჰქონდა საუბარი მეზღვაურებთან, მაგრამ იმ გეგმების შესახებ—რომლებსაც ფონ-კაპელე იხსენიებს—კრინტიც არ დაუძრავთო.

# რუსეთის რესპუბლიკა

### დეპეშები

## არეულობა ტაშკენტში

**ტაშკენტი.** ენკენ. 26. ჩამოვიდა გენერალი კოროვიჩენკო. მას მოჰყვა ჯარი და თავისუფლების სახლი დაიჭირა. გაჩხრიკეს დეპუტატთა საბჭოს ბიურო. ხელთ იგდეს კასა და დოკუმენტები. შეიპყრეს დეპუტატთა საბჭოს მიერ ქალაქის კომენდანტად დანიშნული პრაპორშჩიკი გრინევიჩი. მიიმალნენ რევოლუციურ კომიტეტის წევრები, მათ შორის პერფილევი და ჩერნიავსკი. ენკენისთვის 21-დან დაიწყო 40 პროფესიური კავშირის გაფიცვა. გამფიცველთა კომიტეტი არ აღმოუჩენიათ. ერთი კვირაა რაც გაზეთები არ გამოსულა. სამხედრო წესები არ მოუხსნიათ. ადგილობრივი დეპუტატთა საბჭო უარყოფით უყურებს ტაშკენტის ამბებს.

## ბალტიის ფლოტის დადგენილება

**ჰელსინგფორსი.** ენკ. 27. ბალტიის ფლოტის მეორე ყრილობამ მიიღო რეზოლუცია, რომელიც წინააღმდეგია კოალიციისა და მოითხოვს დაუყოვნებლივ საბჭოების ყრილობას. მიღებულია აგრეთვე სხვა ბოლშევიკური მოთხოვნილებანი. ყრილობა მოუწოდებს სხვა ფლოტებსაც მხარი დაუჭირონ ამ დადგენილებებს.

## სასურსათო ფუნქციების განაწილება

**პეტროგრადი.** ენკ. 27. სასურსათო ინსტრუქტორთა და ინსპექტორთა ყრილობაზე სამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, რომ მთავრობა აპირებს დამხმარე ორგანიზაციებს ჩამოაშოროს სურსათის განაწილების საქმე, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ ვაჭრებისა და კოოპერატივების წარმომადგენელნი.

## სასოფლო კომიტეტები

**პეტროგრადი.** ენკენ. 27. შინაგან საქმეთა სამინისტრომ წინადადება მისცა ახლად შემდგარ სოფლის საზოგადოებათა საერობო კრებებს ზომები მიიღონ ყოველივე თვითნებად შემდგარ სასოფლო კომიტეტების მოსასპობლად. სამინისტროს განკარგულებით სოფლის სასურსათო კომიტეტებმა სასურსათო საქმე ერობას უნდა გადასცენ.

## რკინის გზების საქმე

**პეტროგრადი.** ენკენ. 27. დროებითმა მთავრობამ გადასდო კერძო რკინის გზათა საზოგადოებისათვის 22.629,000 მანეთი. პეტროგრადის რკინის გზის ულლის გასაფართოვებლად გადადებულია 10 მილიონი მანეთი. სახელმწიფო რკინის გზათა გაფართოვება საჭიროა ამერიკის ორთქლმავლებისათვის. ამერიკიდან 2,500 ორთქლმავალს ელიან.

## დამფუძნებელ კრებისათვის მზადება

**პეტროგრადი.** ენკენ. 27. სხვა და სხვა გუბერნიებიდან ცნობები მოდის, რომ დამფუძნებელ კრების არჩევნებისათვის მზადება უკვე დაიწყო. მაჰმადიანთა ყრილობამ დაადგინა ცალკე სიით გამოსვლა. ჯარში მუშაობენ ესერები, მენშევიკები და ბოლშევ. ჯარი დიდ ინტერესს იჩენს არჩევნებისადმი.

## ანარქია სოფლად

**სარატოვი.** ენკენ. 27. მთელ სერდობსკის მაზრაში უწესოებაა აგრარულს ნიადაგზე. უსტინსკის მამულებში რამდენიმე ასი სული საქონელი დაჰხოცეს, დანარჩენი დაიტაცეს. ითვისებენ მიწასა და ტყეებს. დაიტაცეს აგრეთვე დიდი ძალი პური. მოსალოდნელია სპირტის დატაცება. აღმასრულებელ კომიტეტს აზრადა აქვს კერძო პირთა მამულები სამდივნო-მამულო კომიტეტებს გადასცეს. უწესოება ატკარსკის მაზრასაც ედება. წესიერების აღსადგენად ჯარი მოითხოვეს.

## დებულების შემუშავება

**პეტროგრადი.** ენკენ. 27. დროებით მთავრობასთან არსებულ იურიდიულ საბჭოს რუსეთის რესპუბლიკის საბჭოსათვის დებულების შემუშავება დაავალეს.

## ვაჭარ-მრეწველთა წარმომადგენლები

**პეტროგრადი.** ენკენ. 27. დღეს ვაჭრობა-მრეწველობის ყრილობათა წარმომადგენელების საბჭომ, საგანგებო სხდომაზე, რესპუბლიკის საბჭოში გასაგზავნად 20 წარმომადგენელი აირჩია.

## ამერიკელები ციმბირში

რუსეთში ამერიკელ რკინის გზის კომისია ჩამოვიდა. კომისიის მიზანია დაეხმაროს რუსეთს, როგორც მოკავშირეს ციმბირის რკინის გზაზე (პეტროგრადიდან—ვლადივასტოკამდე) მოქმედების გაძლიერებაში, რომ ვლადივასტოკიდან საჭირო მასალის გამოზიდვა აიწიოს. კომისიაში შედიან ინჟენერები: მილლერი, დარლინგი, გიბსი და გრეინერი. მათ მეთაურობს ცნობილი პანამის არხის გამყვანი სტივენსი.

## ფინლანდია და რუსეთი

### სეიმის არჩევნები

[illegible]

...თუ სრულიად ნეიტრალ მდგომარეობის შექმნა შეუძლებელი გახდა, მაშინ ფინლიანდია, როგორც სუვერენული სახელმწიფო, რუსეთთან თავდაცვითი კავშირით უნდა დაკმაყოფილდეს; გაზეთი დასძენს, ეს ისეთი დათმობა იქნება, რომ ამ შემთხვევაში ფინლიანდიას ან საგანგებო და ან ტერიტორიული ხასიათის კომპენსაცია უნდა მიეცეს.

## ბელორუსთა ყრილობა

**მოსკოვი.** ენკენ. 27. ბელორუსთა ყრილობამ დაადგინა დამფუძნებელ კრების არჩევნებში ბლოკით შეეკრას სოც.-რევოლუციონერებს. აირჩიეს 10 კანდიდატი. ნაკაზი გიორგობისთვის მეორე ყრილობამ უნდა შეიმუშაოს.

# რუსეთი და უცხოეთი

## ეგვიპტის სულთანის სიკვდილი.

**პარიზი.** ენკენისთვის 26. კაიროდან სულთან გუსეინ-ქემალის სიკვდილს იტყობინებიან.

## უკანასკნელი დეპეშები

**„რუსკაია ვოლია“ აღნიშნავს, რომ ახალი მთავრობა ზავის საკითხს დიდის ყურადღებით ეპყრობა და ეცდება, რომ ენერგიული ნაბიჯები გადადგას მის ჩამოსაგდებად.**

—

**მთავრობამ ბრძანება გასცა ფინლიანდიიდან ზოგიერთ მეცნიერთა გამოყვანის შესახებ. ფინლიანდიის კომიტეტი მოუწოდებს რუსეთის ნაწილებს და ჯარისკაცებს,—წინააღმდეგობა გაუწიონ მთავრობის მიერ მიღებულ ზომებს.**

—

**„ოტეჩესტვო“ სწერს: დეკლარაციის ის ნაწილი, რომელიც რუსეთის საგარეო საქმეთა მიზნებს შეეხება, მეტად დიპლომატიური და ბუნდოვანია.**

—

**ღვინობისთვის 1-ლს მარსის მინდორზე პუტილოვის ქარხნის მუშები და გვარდიის პოლკები დროშებს გაცვლიან. დროშებს სახმო საფლავზე გაცვლიან.**

## ქართული უნივერსიტეტისათვის

**(ივ. ჯავახიშვილის მოხსენება ქართულ უნივერსიტეტის საზოგადოების დამფუძნებელ კრებაზე წაკითხული 12 მაისს 1917 წ. თბილისში და 17 მაისს ქუთაისში*).**

ხვარაზმელთა შემოსევამ და მონღოლთა, ხოლო შემდეგ სპარს-ოსმალთა ბატონობამ როგორც ვიცით საქართველოს წარმატება შეაფერხა და კულტურულად დასცა. ქართული სამეცნიერო და სხვა ტექნიკური აზრის ბუნებრივი განვითარებაც ძალაგვრებელია შეფერხა, ამასთანავე ბიზანტიის თანდათანი დაქვეითების გამო უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს წინანდებურად აღარ შეეძლოთ თავიანთი მაღალხარისხოვანი მოღვაწეობა განეგრძოთ: რაკი თვით იმ ქვეყნებში სამეცნიერო და სამწერლობო შემოქმედება დაძაბუნებული იყო კულტურა დაეცა, აღარც იქ მყოფ ქართულ მონასტრებს შეეძლოთ თავიანთ სამშობლოში ბიზანტიის გონებრივ წარმატების მოციქულობა გაეწიათ. შემდეგ ხომ როდესაც ბიზანტია პოლიტიკურადაც დაეცა და მთელი მისი სამფლობელო ოსმალებს ჩაუვარდათ ხელში, უცხოეთში მყოფ ქართულ მონასტრებს კულტურული მნიშვნელობა თითქმის სრულებით დაეკარგათ. საუბედუროდ მონღოლთა ბატონობამ და სხვა მიზეზებმაც საქართველოს აღმოსავლეთისა და სამხრეთის მეზობლებიც, სპარსნი და არაბებიც კულტურულად დააქვეითა. ამიტომ არც ამ ქვეყნებიდგან-ღა შეეძლოთ ჩვენს წინაპრებს ცხოველმყოფელ გონებრივ შემოქმედებითა და კულტურულ წარმატებით ესარგებლათ.

კულტურის კერა უკვე ამაზე უწინარესაც ბიზანტიაში ჩაქრა და თანდათან დასავლეთისა და ჩრდილოეთ დასავლეთის ქვეყნებში აენთო. პოლიტიკურად დაცემული და დაუძლურებული საქართველო იმ მხრივაც იყო უბედური და იმიტომაც ჩავარდა უმწეო მდგომარეობაში, რომ მას მეზობლებშიაც დაწინაურებული არავინ აღარავინ მოეძებნებოდა და ყოველგვარ აყვავებულ კულტურის ცენტროებს დასავლეთ ევროპაში ასე დაშორებული და მოწყვეტილი იყო. იქ მას არც ათონისა და შავის მთის მსგავსი მონასტრები ან სხვა რაიმე დაწესებულება მოეპოვებოდა, არც პირდაპირი კავშირი შეიძლებოდა რომ ჰქონოდა დასავლეთ ევროპის განათლებულ ქვეყნებთან. უამისოდ-კი მონღოლთა ბატონობით წელში გაწყვეტილი ქართველობა როგორ მოახერხებდა, რომ თავისი კულტურულ მდგომარეობის გამოსწორება მოეხერხებინა.

თუ წინათ ქართული სამეცნიერო ენა საუცხოვოდ შემუშავებული და შესაფერისად მოქნილი იყო, ეხლა მას უკვე არც შესატყვისი ტერმინოლოგია-ღა ჰქონდა და აღარც ახალ მსოფლმხედველობისა და მეცნიერების ახალ დარგების მოციქულები მოეძებნებოდა. აღორძინების ხანაში საქართველოს სრულს განახლებას ამას გარდა ის გარემოებაც აფერხებდა, რომ დასავლეთ ევროპის სამეცნიერო ენაც ჯერ ლათინურ და შემდეგ ახალი ენებიც, საქართველოში უცნობი იყო. ამ მხრივაც ძველ ხანასთან შედარებით ქართველობა მეტად ცუდს მდგომარეობაში ჩავარდა. წინათ ბერძნულ და სპარსულ ენის მცოდნენიც საქართველოში მრავალნი იყვნენ, განახლებისა დი აღორძინების ხანაში XVII—XVIII სს.-ში ლათინური და ახალი უცხო ენები თითქმის არავინ, თითო-ოროლამ თუ, იცოდა. ამის გამო ცოდნის მოყვარე ქართველობას თავისი სულიერი წყურვილის მოკვლა მხოლოდ სხვების შუამავლობითა და დახმარებით შეეძლო. ამგვარ შუამავლებად კათოლიკეთა სამღვდელოება იყო და მე-XVIII ე საუკ სულ უკანასკნელ ხანაში რუსული ენის მცოდნენი. მაგრამ კათოლიკე ბერების დახმარება შემთხვევით იყო, ხოლო რუსული სამეცნიერო მწერლობაც მაშინ როგორც ახალი ფეხადგმული მეტად სუსტობდა, ჯერ თავისი მოქმედება არ ჰქონდა და მხოლოდ გერმანულითგან და ფრანგულითგან ნათარგმნით იკვებებოდა. ამიტომ როდესაც ქართველები რუსულითგან სთარგმნიდნენ, თითქმის ყოველთვის თარგმანის თარგმანი გამოდიოდა და დედნის ცხოველმყოფელობა აკლდა. უკვე ეფრემ მცირემ სამართლიანად დაჰკმო ასეთი ნაწარმოებნი და ამ გზით ცხადია შეუძლებელი იქმნებოდა ქართული სამეცნიერო მწერლობა დასავლეთ ევროპისას დასწეოდა. ისიც უნდა აღინიშნოს, რომ რაკი ბერები წინანდებურად მეცნიერებასა და მწერლობაში პირველობას ვეღარ დაიჩემებდენ და საქართველოშიაც ორივე დარგი თანდათან ერისკაცთა კუთვნილებად იქცა, მონასტრებს მნიშვნელობა დაეკარგათ ð არც მეცნიერებისა და არც მწერლობის კერად და უმაღლეს სასწავლებლად-ღა ითვლებოდენ. საქართველოს მეფეები და მმართველი წრეები მშვენივრად გრძნობდენ ქართული მეცნიერებისა და მწერლობის აყვავების აუცილებლობას და თითონაც პირადად შრომას და ქონებას არ ზოგავდენ, რომ ჩვენს ქვეყანას ამ უმწეო მდგომარეობიდგან თავი დაეღწია. რაკი მონასტრებში უმაღლეს მეცნიერებისა და განათლების ცეცხლი აღარა ღვიოდა, უნდა მათი მაგიერი დაწესებულება, უმაღლესი სასწავლებელი დაარსებულიყო, თუ რომ ქართველებს გონებრივი დაქვეითება და გაველურება არ ჰსურდა. მართლაც იოანე ბატონიშვილის მიერ 10 მაისს 1799 წელს თბილისში შედგენილ საქართველოს სახელმწიფო წესწყობილების პროექტი, რომელიც გიორგი მეფემ დაამტკიცა, ამის შესახებ ერთი საყურადღებო ცნობა მოიპოვება. იოანე ბატონიშვილის პროექტით საზოგადოებრივად რამდენიმე ჯგუფად დაყოფილს საქართველოში სკოლაც ერთგვარი არ იყო. უმაღლეს სასწავლებელში რომელშიაც „მიებარებოდნენ-ო თავად-აზნაურნი და პირველათ მოქალაქეს შვილები“, საქმე ისე უნდა ყოფილიყო დაყენებული, რომ „მიუჩინონ მუნ მცოდნენი კაცნი რათა ასწავლიდნენ სამეცნიეროსა სწავლასა და სამხედროსაცა, აგრეთვე ენებთა. ამის მოურნედ იყოს განათლებისა მთავარი და ეგე აძლევდეს რიგსა და ჯამაგირთა ოსტატებსა-“ო. ქვემოთ იმ ენების სიაც არის მოყვანილი, რომელნიც ამ სასწავლებლის მოწაფეებს უნდა შეეთვისებინათ: „სასწავლებელსა მას შინა ჰსწავლობდენ ქართულსა, სომხურსა, თათრულსა, რუსულსა და თუ შეიძლება ბერძნული და ლათინურიც უკეთესი იქნებისო“-ო. ამგვარი უმაღლესი სასწავლებელი სამს ადგილას გაიმართოს სკოლა თბილისსა, გორსა და თელავსა შინა“-ო.

ამ სამ მაღალ სასწავლებელსა გარდა „იყოს ამაზე მდაბალი სასწავლებლები; დუქნები ანუ სახლები. ამასა შინა ისწავლებოდნენ მსახურნი კაცის შვილნი და მდაბლები ვაჭართ შვილები. აგრეთვე გლეხისაც ვისაც როგორად შეეძლოსთ“-ო. როგორც ეტყობა ამ დაბალ სასწავლებლებშიაც ენების შესწავლა სავალდებულო უნდა ყოფილიყო. ყველა ზემო აღნიშნულსა მაღალსა და დაბალს სასწავლებლებში „ოსტატები ანუ მასწავლებელნი იყვნენ მეფისა ხარჯითა, ხოლო მოწაფენი თავიანთ მშობელთა ხარჯითა ვიდრე შემოსავალთა განჩრცობამდე“-ო. მაშასადამე შემდეგში მაინც, სწავლა საქართველოში უფასო უნდა ყოფილიყო. ამ საერთო სკოლებს გარდა „ეს სახედვე სასულიერო სასწავლებლები იყო განწესებით და ამისა მოურნეობა კათოლიკოსსა და სულიერსა მთავარსა“-ო. პეტრეს ქალაქის საჯარო საამკითხველოს იოანე ბატონიშვილისეული წიგნთსაცავისა ხელთნაწერი № 15, თავი მეორმოცდა მეთვრამეტე.

ზემონათქვამითგან ცხადია, რომ 1799 წელს აღმოსავლეთ საქართველოში სამლიცეუმისა მსგავს უმაღლეს სასწავლებლისა გახსნა ყოფილა გადაწყვეტილი, სადაც ქართველ მოზარდ თაობისათვის „სამეცნიერო სწავლა“ და ექვსი ენა უნდა შეესწავლებინებინათ. ეს გეგმა მხოლოდ იმიტომ არ განხორციელდა, რომ რუსეთმა საქართველოს დამოუკიდებლობა მოსპო და არამცთუ მაშინ, აქამდისაც, 117 წლის განმავლობაში როგორც ვიცით მთელს ამიერკავკასიაშიც-კი ერთი რუსული უმაღლესი სასწავლებელიც-კი არ გაუხსნია. ქართულის გახსნის უფლება ხომ ბოლო დრომდის არავის არ ჰქონდა.

(გაგრძელება იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 233.

# ქრონიკა

## თბილისი

✦ **პროცესია მცხეთისაკენ.** დღეს, შაბათს, საღამოს 7 საათზე, ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის სტუდენტთა, კურსისტ ქალების და მოწაფეთა პროცესია, საგანგებო ტანთსაცმელებითა და ჯვრებით დაიძვრის სახაზინო ქუჩიდან, გაივლის გოლოვინის პროსპექტს, ვერის დაღმართს, მიხეილის ქუჩას და მივა რკინის გზის სადგურზე, საიდანაც ღამის თორმეტის ნახევარზე საგანგებო ვაგონით გაემგზავრება მცხეთას, სადაც „მცხეთობას" კათალიკოსის კურთხევას დაესწრება.

✦ **მცხეთობა.** სრულიად საქართველოს კათოლიკოზის საბჭო ამით აცხადებს, რომ პირველ ოქტომბერს, მცხეთას, სვეტიცხოვლის საპატრიარქო ტაძარში მოხდება კურთხევა და საყდრად აღყვანება მათის უწმინდესობის სრულიად საქართველოს კათოლიკოზ-პატრიარქის კირიონ მეორისა. წესის შესრულება დაიწყება დილის ათ საათზე. კურთხევის შემდეგ წირვა. მეორე დღეს ორ ოქტომბერს მოხდება ქუთათელი მიტროპოლიტის ხარისხში აყვანა ეპისკოპოსი ანტონისა, და ხელდასხმა ჭყონდიდელ მიტროპოლიტად არქიმანდრიტ ამბროსისა. სურსათ-სანოვაგის უქონლობისა გამო საბჭო სთხოვს მცხეთაში წასვლელთ თითონვე იზრუნონ წინდაწინ თავიანთი სურსათისთვის.

✦ **პეტროგრადის დემოკრატიულ საბჭოში** ქართველების წარმომადგენლებად არიან არჩეულნი ნაციონალ-დემოკრატი შალვა ამირაჯიბი და სოც.-ფედ. სიმ. მდივანი. ამათ გარდა სოც.-დემოკრატ მეშვიდეებს აურჩევიათ შემდეგი ქართველები: ი. წერეთელი, ნ. ჩხეიძე, ნ. ჟორდანია, ა. ჩხენკელი, ზ. ელიავა და გ. ურატაძე.

✦ **მილოცვა კათალიკოს პატრიარქს.** გუშინ, ნაშუადღევის პირველ საათზე, მათის უწმიდესობას სრულიად საქართველოს კათალიკოსს პატრიარქს კირიონს წარუდგნენ თბ. სასულიერო და სავაჟო გიმნაზიების საგანგებო დეპუტაცია, რომლის შემადგენლობაში იყვნენ გაჭვე კომიტეტის თავმჯდომარე გიგი მაღალაშვილი, დეკ. კალ. ცინცაძე, თამ. ილ. ჯავახიშვილის ასული, სოფ. ჯიჯავაძის ასული, ალ. მიქაბერიძე და ლ. ბოცვაძე. ეგევე დეპუტაცია მიესალმა თბილელ მიტროპოლიტს ყოვლად უსამღვდელოეს ლეონიდეს.

✦ **გაფიცვა მთავრობის დაწესებულებათა შორის.** ქუთაისიდან აცყობინებენ საოლქო ცენტრს, რომ მთავრობის დაწესებულებათა მოსამსახურეების კავშირმა გადასწყვიტა გაფიცვა გამოაცხადოს ღვინობისთვის 5-დან, რადგან მოსამსახურეთა ეკონომიური მოთხოვნილებანი დაკმაყოფილებულ არ იქმნა. გაფიცვაში მონაწილეობას მიიღებენ ხაზინებისა და სახაზინო პალატის მოსამსახურენიც.

✦ **კავკასიის სამკურნალო საზოგადოებაში.** ენკენისთვის 28-ს საზოგადოების კრებაზე ექ. ა. გურკომ მოხსენება წაიკითხა ყვითელ ციების შესახებ, რომელიც ბევრგან გავრცელებულია ამიერ-კავკასიაში. მომხსენებელმა კრებას აჩვენა მის მიერ დაჭერილი კოღო, რომელიც ატამინებს ჰქვნის და ციება აქედან წარმოსდგება. მოხსენებამ აზრთა გაცვლა-გამოცვლა გამოიწვია, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო ენტომოლოგმა ფ. ზაიცევმა.

✦ **სატრაქტირო გადასახადი თბილისში.** ენკენისთვის 28-ს ქალაქის გამგეობამ დაადგინა, რომ მომავალ წელში სატრაქტირო გადასახადი 100 ათასიდან 278.200 მანეთამდე გაადიდოს თბილისში. ოთხ დიდ სასტუმროს, რომლებიც 325 ოთახს შეიცავს, 40.000 მანეთი ექნება შეწერილი, ე. ი. თითო ოთახს დღეში 27 კპ. გამგეობის დადგენილება ქალაქის საბჭოს წარედგინება დასამტკიცებლად.

✦ **განაპირა უბნების განათება.** თბილისის განაპირა უბნები ამჟამად სრულ წყვდიადს წარმოადგენენ ღამით. ქალაქის გამგეობის წევრს ი. ბესელიძეს საჭიროდ უცვნია ნავთიანი ფარნებით მაინც გაანათოს ეს უბნები და ამისათვის კოჯორიდან ჩამოიტანენ 500 ფარანს.

✦ **ცხენის ხორცით ვაჭრობა.** შინაგან საქმეთა სამინისტროს მედიკურმა საბჭომ შესაძლებლად სცნო ცხენის ხორცისაგან ძეხვების დამზადება იმ პირობით, რომ მოიხმარებენ მხოლოდ ქალაქის სასაკლაოზე დახოცილ ცხენის ხორცს.

✦ **ახალი სარკინიგზო გადასახადი.** ქ. გუშინ ხემი მიეცა რკინის გზით გადაზიდულ ტვირთზე ახალი გადასახადი დააწესოს სადგურთან მისასვლელ ლიანდაგების გასაყვანად.

✦ **კავკასიის საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტი.** პეტროგრადის სამეცნიერო აკადემიამ აირჩია კავკას. საისტორიო და საარქეოლოგიო ინსტიტუტის პროფესორები, რომელსაც აკად. ნ. ი. მარრი აარსებს. სამი წლის განმავლობაში ინსტიტუტს ექნება შემდეგი კაბინეტები: საარქეოლოგო, ლინგვისტიკური, მთიელთა ენების შესასწავლი, ხელოვნებათა, იურიდიულ სიძველეთა და ფოტოგრაფიის ლაბორატორიისა. ინსტიტუტის ნამდვილ წევრებად აირჩიეს თაყაიშვილი და ჩუბინიშვილი, ადიუქტებად—გორდეევი და ტიგრანიანცი, მსწავლულ მდივნად შჩეპოტიევი, ფოტოგრაფად დაინიშნა ლიზინი. ამ ზამთარსავე დაიწყებს გამოსვლას პერიოდული ორგანო—ინსტიტუტის უწყებები.

✦ **ტყვარჩელის ქვანახშირის საზოგადოებამ** მოქმედება განაახლა.

✦ **ქალაქის კასის მძარცველთა** კვალი მიუგნია მილიციას. კასიდან წაღებულია ნაღდ ფულად 144.000 მანეთი. აქედან 60.000 მან. სხვა და სხვა დაწესებულების ყოფილა. ფასიანი ქაღალდები წაღებულია სულ 60.000 მანეთისა.

✦ **ქართულ გიმნაზიის ადმინისტრაციას** გადაუწყვეტია ეხლავე მოახდინოს ნაციონალიზაცია გიმნაზიის ყველა კლასებში.

✦ **მისასალმებელი დეპეშა.** ქალაქის მოურავმა ნ. ელიავამ ქალაქის თვითმართველობის სახელით მისასალმებელი დეპეშა გაუგზავნა სომეხთა ეროვნულ კრების პრეზიდიუმს.

✦ **საქონლის ფასების გამოფენა.** ქალაქის გამგეობამ დაადგინა ვალდებულ ჰყოს ვაჭრები, რომ ყოველგვარ სანოვაგეზე და საქონელზე დაწერილი ფასები იყვეს დადებული.

✦ **ჯარისკაცთა ოჯახების ხურსათი.** აქამდისინ თბილისში მყოფი საზღობანი სალდათებისა, აფიცრებისა და სხვა მოხელეთა საინტენდანტოდან ღებულობდნენ პურს და სხვა პროდუქტებს, ამავე დროს ქალაქის სასურსათო კომიტეტიდანაც შეეძლოთ სურსათის აღება. ეხლა საინტენდანტო აცხადებს, რომ ღვინობისთვის პირველიდან აღნიშნულმა პირებმა მხოლოდ ქალაქის სასურსათო კომიტეტიდან უნდა მიიღონ სურსათი.

✦ **ქართული წარმოდგენა.** შაბათს, 30 ენკენისთვეს ქართულ კლუბში თბილისის ქართულ დრამატიულ დასის მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება: 1) „სიცრუე"—დრამატ. ეტიუდი 1 მოქმ. თარგმ. შ. ხონელისა და 2) „რაც გინახავს, ვეღარ ნახავ"—ცნობილი მხიარული კომედია 3 მოქმ. ა. ცაგარლისა. დაუკრავს ზურნა. მონაწილეობას მიიღებს მთელი დასი. ორშაბათს, 2 ოქტომბერს წარმოდგენილი იქნება პირველად ქართულ კლუბის სცენაზე პიესა „ნიადვარი"—დრ. 4 მოქმ. ვ. გუნიას მიერ ნათარგმნი.

✦ **ნოე ჟორდანია** დემოკრატიულ თათბირზე ვერ დაესწრო, ვინაიდან ძლიერ გაციევდა და ლოგინად ჩავარდა. ამისდა მიუხედავად სოციალ-დემოკრატიის გამოჩენილ წარმომადგენლებს დემოკრატიულ თათბირის ყველა საკითხებზე მასთან თათბირი ჰქონდათ.

✦ **გაფიცვა ბაქოში.** ევ. გეგეჭკორი ენკენისთვის 28-ს ბაქოდან თბილისს დაბრუნდა. პრესის წარმომადგენელს მან განუცხადა, რომ გაფიცვის გაგრძელება არავისა სურს, მით უფრო, რომ ბაქოში საკმარისი პური არ არის და არც მოტანის იმედია. მუშებმა გაფიცვა იმიტომ გამოაცხადეს, რომ 6 თვის ლოდინმა ტყუილა ჩაუარათ და კმაყოფილება ვერ მიიღესო. მწარმოებლები როცა დათმობის გზაზე დაადგებიან, გაფიცვა შესწყდება. მაგრამ მწარმოებლები დათმობის თანახმანი არიან ნივთიერ გაუმჯობესობის მოთხოვნილებაში, რაც შეეხება მოთხოვნილების უფლებრივ მხარეს, მაგალითად, მუშა-მოსამსახურეთა მიღება-დათხოვნას, ამაზედ გადაჭრილ უარს ამბობენ. მოლაპარაკება განახლდა; საგანგებო კომისიაა არჩეული, რომელსაც დაევალა მათი ურთიერთშორის მორიგებაო.

✦ **ვაკანსიები უნივერსიტეტში.** ამ ჟამად ბევრი თავისუფალი ადგილი ყოფილა ტომსკისა, ხარკოვისა, კიევის, იაროსლავის და როსტოვის უნივერსიტეტში.

✦ **დროს შეცვლა.** ღვინობისთვის პირველიდან რუსეთში ყველგან და ჩვენშიაც საათის ისარი ერთი საათით უკან იქნება დაწეული და დრო წინანდებურად დაითვლება.

✦ **მზადება დამფუძნებელ კრების არჩევნებისთვის.** დამფ. კრების საოლქო საარჩევნო კომისიის ცნობებით ქუთაისის გუბერნიაში სიების შედგენა დასრულდა. თბილისისა და ერევნის გუბერნიებში კარგად მიდის სხვა ალაგებში თავდასხმებისა და ძარცვა-გლეჯის გამო ფერხდება.

✦ **გადასახადი მუშათა საბჭოს სასარგებლოდ.** მუშათა და ჯარის კაცთა საბჭომ თბილისში არსებულ დაწესებულებებს მოწერილობა დაუგზავნა და მოსთხოვა მოსამსახურეთა და მოხელეთა ერთი დღის ჯამაგირები საბჭოს სასარგებლოდ.

✦ **სარკინიგზო სასურსათო კომიტეტები.** გზათა მიმოსვლის სამინისტროსთან არსდება მთავარი სასურსათო ბიურო, რომელმაც უნდა მოაწყოს სარკინიგზო სასურსათო კომიტეტები და მიაწოდოს მათ სურსათი.

✦ **კავკასიის მთის მრეწველთა ყრილობა.** ღვინობისთვის 1 თბილისში შესდგება კავკასიის მთის მრეწველთა ყრილობა. წაკითხული იქნება 6 დიდი მოხსენება კავკასიის მთის მრეწველობის შესახებ.

✦ **უნივერსიტეტის საექიმო ნაწილის დახურვა.** პეტროგრადის ფიზიკო-მათემატიკურ ფაკულტეტის საექიმო ნაწილი სწავლა-განათლების სამინისტროს განკარგულებით გაუქმებულ იქმნა.

✦ **წყლის ნიხრის გადიდება.** ქალაქის გამგეობას გადაუწყვეტია წყლის ფასი გაადიდოს. ასეთი ღონისძიება გამოიწვია შაბის, მუშა ხელის და სათბობ მასალის უზომოდ გადიდებამ.

✦ **იარაღის ტარების ნება.** თერგის ოლქის მცხოვრებლებს ეხლა ყველასა აქვს ნება იარაღი ატაროს.

✦ **მევენახეთა საზოგადოება „კახეთში"** აღმოჩნდა, რომ უკანასკნელ წლებში სისტემატიური ქურდობა ყოფილა ღვინისა, რომელშიდაც ბრალი ედებათ შიგ მომუშავეთ. რადგანაც ეს საქმე ეხება როგორც ეხლანდელ ისე ყოფილ მუშა-მოსამსახურეთა ღირსებას, ამიტომ საზოგ. „კახეთში" მუშა-მოსამსახურეთა დამხმარე კასის გამგეობა, უმორჩილესად სთხოვს ყველა მათ, ვისაც კი საზოგადოებაში უმსახურნიათ, მოვიდნენ დღეს, საღამოს 7 საათზე საზოგადოების კანტორაში, გოგოლევის ქ. № 63.

✦ **ქალაქის საბჭოს კრება** ორშაბათს, ღვინობისთვის 2-ს, არის დანიშნული. რადგან წარსულ ორშაბათს კრება არ მოხდა, ბევრი საქმე მოგროვილა. ორშაბათს, სხვათა შორის, მოხდება არჩევნები ქალაქის მოურავის მოადგილისა და გამგეობის 2 წევრისა. მოურავის მოადგილედ ბ-6 კალუეინს ასახელებენ, ხოლო გამგეობის წევრებად, როგორც წინად ვსწერდით, ი. ლ. ჩერქეზიშვილს და ბ-6 ოგანეზოვს.

✦ **ქალაქის საბჭოში.** ადგილობრივ მეურნეობის მთავარმა გამგეობამ დეპეშით მოწერილობა გამოუგზავნა თბილისის გუბერნიის კომისარს, რომ ქალაქის საბჭოში ზოგიერთ ცნობილ საკითხების გადაწყვეტის დროს სახეში მიღებული უნდა იქნეს დრ. მთავრობის მიერ გამოცემულ დადგენილებათა მე-71 მუხ., რომლის ძალითაც დადგენილება გამოტანილ უნდა იქმნეს ხოლმე ხმის განსაზღვრულ უმრავლესობით კომისარი მოვალეა ადგილობრივ მეურნეობის მთავარ გამგებლობას წესიერად მიაწოდოს ამის შესახებ ყველა ცნობები.

## კავკავი

✦ **საფოსტო მატარებელზე თავდასხმა.** კავკავის რკინის გზის სადგ. არგუნსა და ჯალკას შუა საფოსტო მატარებელს შეიარაღებული ბრბო თავს დაესხა. 4 ვაგონის გარდა მთელი მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა და დაიმსხვრა. დამცველებმა ვერ გაძარცვეს უვნებლად გადარჩენილი ჯავშნიანი ვაგონი. ბევრი ჯარის კაცი მოკვდა და დაიჭრა.

## ქუთაისი

✦ **დამალული შაქრის აღმოჩენა.** ტყეშელაშვილის და წერეთლის საკანდიტროში, გიმნაზიის ქუჩაზე აღმოაჩინეს გადამალული შაქარი. შაქრის რაოდენობა უდრის 600 ფუთს, რაც უკვე დააკავეს.

✦ **მიტრ. ლალიძის** ხილეულობის ქარხანაში აღმოაჩინეს 150 ფუთამდე შაქარი.

# კათალიკოსის დეპეშა მინისტრს კარტაშევს

გულითად მადლობას გწირავთ მოსალმებისა და კეთილი სურვილებისათვის, რაშიაც მე არასოდეს ეჭვი არ შემპარვია. ღვთის შეწევნით და თქვენი დახმარებით საქართველოს ეკლესია, ვიმედოვნებ, ნამდვილად განიწმინდება ძალმომრეობისა და უფლების შელახვის აქტებისაგან, რომელსაც ახდენდნენ ეკლესიის ასი წლის ქვრივობის ჟამს. ჯერჯერობით-კი მისი მდგომარეობა ფაქტიურად თითქმის არ შეცვლილა, რადგანაც გამგებლობის ყველა ორგანოები ძველებურად იმყოფება რუსეთის ეკლესიის წარმომადგენლების ხელში, რომელნიც ყოფილ სასინოდო კონტორის მეოხებით იტაცებენ საქართველოს ეკლესიის კუთვნილ ფულს და ნივთიერ სიმდიდრეს და შეძლებასაც არ გვაძლევენ ვაწარმოვოთ საქართველოს ეკლესიის საქმეები მაინც. სასულიერო სკოლებში სწავლა არ არის, მიუხედავად იმისა, რომ აქ ქართველები შეადგენენ უმნიშვნელო ნაწილს. ყოველივე ეს ჰქმნის მეტად აუტანელს და საშიშს მდგომარეობას. დაბეჯითებით გთხოვთ დაასწროთ ქარიშხალს და დაუყოვნებლივ გამოგზავნოთ თბილისში გამიჯნული კომისია, რომლის მუშაობაში პეტროგრადში ქართველები მონაწილეობას ვერ მიიღებენ. ვისურვებ, რომ საქართველოს და რუსეთის ეკლესიის შორის დამყარებულიყოს სიყვარული და ძმური განწყობილება.

*სრულიად საქართველოს კათალიკოს პატრიარქი* **კირიონ.**

# დამფუძნებელ კრების არჩევნების გამო

**თბ. ქალაქის გამგეობისაგან**

თბილისის ქალაქის გამგეობა ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ დროებითმა მთავრობამ დამფუძნებელ კრების არჩევნები დანიშნა 1917 წლის 12 ნოემბრისათვის. საარჩევნო სიების გამოქვეყნება უნდა მოხდეს ამა წლის 3 ოქტომბერს. თბილისის ამომრჩეველთა სიები უკვე შედგენილია. ამ სიებში, როგორც გამოირკვა საქალაქო არჩევნების დროს ბევრი შეცდომით გამოტოვებულია. არ არიან შეტანილნი აგრეთვე ისინი, ვინც 28 მაისიდან 12 ნოემბრამდე ოცი წლისა გახდება, ან კიდევ ისინი, ვინც თბილისს ჩამოვიდა საარჩევნო სიების შედგენის ე. ი. ამა წლის 28 მაისს შემდეგ. შეცდომით გამოტოვებულმა პირებმა საარჩევნო სიების შედგენის დროს უნდა განუცხადონ ქალაქის გამგეობას, რომ მათ უფლება აქვთ დამფუძნებელ კრების არჩევნებში მონაწილეობა მიიღონ.

ამასთანავე უნდა წარადგინონ საბუთები იმისა, რომ ისინი რუსეთის ქვეშევრდომნი არიან. ვინც არ განაცხადებს, ამა წლის 8 ოქტომბრამდე, რომ უფლება აქვს, დამფ. კრების არჩევნებში მონაწილეობისა, იგი ხმას ჰკარგავს და არჩევნებში მონაწილეობას ვერ მიიღებს.

რათა ქ. თბილისის მცხოვრებთ გაუადვილოთ საარჩევნო სიების შევსება, თბილისში თორმეტ ადგილას მიიღება განცხადება სიიდან გამოტოვებისა, ან შევსების შესახებ. ამ მიზნით 27 ამა სექტემბრიდან დასახელებულ ადგილებში იქნებიან სპეციალური პირები დილის 10 საათ. ნაშუადღ. 3 საათამ. და საღამოს 6—10 საათ. 1 უბანში—ქალაქის სკოლა, სახლი მა-მაჩაბლისა, № 52.

მე-2 უბ.—საარტისტო საზოგ. საზამთრო შენობა.

მე-3 უბ.—ქალაქის გამგეობა.

მე-4 უბ.—სახელოსნო სკოლა.

მე-5 უბ.—ქალაქის საავადმყოფო, ვორონცოვის ქ.

მე-6 უბ.—ნადეჟდინის პრიუტი, რეიტერის ქ.

მე-7 უბ.—ავლაბრის კლუბის საზამთრო შენობა.

მე-8 უბ.—ქალაქის სკოლა, პასკევიჩის ქუჩაზე.

მე-9 უბ.—ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქ.

მე-10 უბ.—ზუბალაშვილის სახალხო სახლი, კიროჩნი ქ.

მე-11 უბ.—ქალაქის სკოლა, ჩერქეზიშვილის ქ.

მე-12 უბ.—რკინის გზის სატეხნიკო სასწავლებელი, შერემეტიევის ქ.

# კავკასიის პეტროგრადელი კომისარი

„დროებითი მთავრობის დაკანონებათა და განკარგულებათა კრებულ"-ში გამოქვეყნებულ წესისამებრ კავკასიის ყველა სამოქალაქო უწყებებმა უმაღლეს სახელმწიფო დაწესებულებებსა და ცალკე უწყებებთან დამოკიდებულება უნდა იქონიონ კავკასიის პეტროგრადელ კომისარის საშუალებით. ყველა საკანონმდებლო წინადადებანი კავკასიის შესახებ ხსენებულმა კომისარმა უნდა წარუდგინოს დროებით მთავრობას ანდა მის ხელში უნდა გაიაროს. პეტროგრადში შემუშავებულ კანონპროექტების განხორციელებლად კი საჭიროა კავკასიის უმაღლეს მმართველობის სანქცია. კავკასიაში თანამდებობებზე დანიშვნა—გადაყენების პროექტებიც ამ გზით უნდა განხორციელდეს.

თუ კავკასიის ამა თუ იმ საკითხის გადასაჭრელად საჭირო იქნება ცალკე კომისიის შედგენა ეს უნდა მოხდეს კავკასიის კომისარის თანხმობითა და მონაწილეობით.

ამ კომისიებში მიწვეული იქნება კომისარის კანცელარიის წარმომადგენელი, თუ საერთო სახელმწიფოებრივ მნიშვნელობის საკითხი კერძოდ კავკასიასაც შეეხება.

ის საკანონმდებლო და სხვა წინადადებანი, რომლებიც კერძოდ კავკასიასაც შეეხებიან, კომისარის კანცელარია განიხილავს და ისე დაეგზავნება დაინტერესებულ სამინისტროებს.

# პოლიციის მოხელეთა მდგომარეობა

გაუქმებულ საპოლიციო დეპარტამენტის მოხელეთა მდგომარეობის შესახებ დროებითმა მთავრობამ დაადგინა: 1) დეპარტამენტის ყველა შტატის, შტატის გარეშე მყოფი და დეპარტამენტზე მიწერილი მოხელენი (გადამწერლების გარდა), დამცველი პოლიციის და ჟანდარმერიის გადამწერლები დათხოვნილებად ითვლებიან და ჯამაგირების ძლევა ესპობათ. 2) საგანგებო განყოფილების ყველა დირექტორების და ვიცედირექტორებს პოლიციურ მაძებრობაში მონაწილეთ და დამცველ პოლიციის მოხელეებს ესპობათ პენსიის უფლება. 3) გარეშე პოლიციის მოხელეებს შტატის გარეშე ჯამაგირის მიღებისა და აგრეთვე თანამდებობიდან დათხოვნის გამო საგანგებო დახმარების მოთხოვნის უფლება არ ექნებათ. 4) თებერვლის 27 დან ძალას ჰკარგავს 1909 წ. მარტის 18-ის კანონი (დაკან. კრებული გვ. 422) პენსიებისა და დახმარების შესახებ. პენსიები და დახმარება ამ კანონის ძალით მიეცემა მხოლოდ იმ პირებს, რომელთა შესახებ დადგენილება 1917 წ. თებერვლის 17 დე იქმნა გამოტანილი.

# სომხები და ავტონომია

კვირას, ენკენისთვის 24-ს, „არტისტიულ საზოგადოების" დარბაზში მოხდა სომხურ ეროვნულ პარტიის კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 60 დელეგატი. საყურადღებო მოხსენება წაიკითხა ა. არაქელიანმა პარტიის ეროვნულ პროგრამის შესახებ. ორატორმა შემდეგი აზრები გამოსთქვა: ძველი რეჟიმის დროს თუმცა ვიწრო ფარგლებში, მაგრამ მაინც სარგებლობდნენ სომხები ეროვნულ-კულტურულ ავტონომიის უფლებებით. სომხობას დღეს სჭირია ეროვნულ-კულკულტურული ავტონომია, რისთვისაც საჭიროა ტერიტორიის არსებული დამიჯნვა შეიცვალოს. სომხები სახელმწიფოს ფედერატიულ საფუძვლებზე აშენებას არიან მოწადინებულნიო. კამათმა გამოარკვია, რომ ყველა დელეგატი არ არის ფედერაციის პრინციპის მომხრე. ეროვნულ საკითხზე კონფერენციამ მიიღო არაქელიანის შემდეგი რეზოლუცია: სომეხთა ეროვნული პარტია საჭიროდ სთვლის თავის პროგრამაში ეროვნულ ტერიტორიული ავტონომიის მოთხოვნას საკანონმდებლო ორგანოთი ზოგიერთ ადგილობრივ საკითხების გადასაწყვეტად. ტერიტორია საადმინისტრაციო გადამიჯვნის დროს უნდა განისაზღვროს. ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას პარტია დამფუძნებელ კრებისაგან მოელის.

# მევენახეთა საზოგადოება „კახეთი"

დიდი ხანია ჰქონდა ამ საზოგადოების გამგეობას ეჭვი, რომ ღვინის სარდაფში ბოროტმოქმედება ხდებოდა, მაგრამ ბოროტმოქმედების დიდი საიდუმლოების გამო ის დღემდე ვერ აღმოაჩინა. დღეს კი, როგორც იყო აღმოჩნდა. გამგეობის აზრით სამი პირი უნდა იყოს დამნაშავე: მეკარე, ერთი სარდაფის მუშა და ერთიც სარდაფის ზედამხედველი, რომლებსაც ამ ორი წლის განმავლობაში სისტემატიურად გაჰქონდათ სარდაფის ფანჯრიდან ღვინო ღამ-ღამობით. დაახლოვებით გატანილი უნდა იყვეს ორი-ათასი ვედრო ღვინო, რომელთა ღირებულება ოცდა-ათი ათას მანეთს უდრის, გარდა ზემო აღნიშნულ სამი პირისა, როგორც ირკვევა, არავინ არ არის მონაწილე ამ ბოროტმოქმედებაში, არც ყოფილი მუშა-მოსამსახურენი და არც . . . . . . . . ., ამიტომ დიდად გვაკვირვებს და გვაუხერხეულებს „თბილისის ლისტოკში" მოთავსებული ცნობა, თითქო, ბოროტმოქმედებაში „სხვა მუშა-მოსამსახურეებსაც ედოთ წილი", ჩვენთვის დიდად სამწუხაროა ასეთი მოვლენები მით უფრო მუშათა ცხოვრებაში, რომლის გამო დიდ გულის წყრომას და მწუხარებას გამოვსთქვამთ ასეთ უღირსს ადამიანების წინააღმდეგ და ყოველ სიმშვიდეს ვიხმართ საქმის დაწვრილებით გამოსარკვევად.

საზოგ. „კახეთი"-ს მუშა-მოსამსახურეთა მინდობილობით

**არსენ თოდრია.**

# ჩემი დღიური

VII

მე და სოფიკო სიმინდს ვჰრიდით. თავჩაღუნული ვმუშაობდით ჩუმად. ცოტა ხნის შემდეგ იმან გულსაკლავათ ამოიოხრა.

— რა დარდი გაწუხებს, სოფიკო?

ჯერ გარშემო მიიხედ-მოიხედა, შემდეგ მიპასუხა.

— ეხლა, გენაცვა, ვილა არის უდარდელ?! ჩემი ძმა ილიკო გაპარულა აქა, გაუთავდა ოტპუსკი და წავიდა ქუთაისში, იქა დგა იმისი პოლკი, გუშინ-კი დაბრუნდა...

— რადას ნაღვლობ? ალბად ახალი ოტპუსკი მისცეს...

— ოტპუსკი კი არა...

სოფიკომ კიდევ მიიხედ-მოიხედა. თუმცა ღრმა სიჩუმეში მხოლოთ ისმოდა გამხმარი სიმინდის ფუჩეჩის შრიალი, ხმა დაბლა დაიწყო: ამხანაგებს დაუთხოვნიათ, წადი შინაო, რას მორბოდიო? ომში აღარ მივდივართო... მდიდარმა ხალხმა მოიგონაო ომი, ისინი წავიდნენო. მთელი ღამე არ დავიძინე, დარდმა წამიღო,—დაღონებულა კილოთი ამბობდა სოფიკო, სულ რო მთელი რუსეთის ჯარი თავის-თავად დაიშალოს,ხომ შემოვიდა მტერი!..

— შემოდის კიდეც.

— რიგა კი არ აიღესო ნემეცებმა, ერთმა ღენერალმა გაყიდაო, რაღაც გვარი თქვა ილიკომ, კარ, კარ, კარნილოვი.

— კარნილოვი?!

— დიახ, დიახ, ეგ გვარი თქვა, ქუთაისში უთქვამთ ამხანაგებსა. ღმერთმა იცის რა გველის ჩვენ საცოდავთა?.

— ეგ სულ ტყუილია.

— აბა რა ვიცი, გადარეული კი მოვარდა ბიჭი. ახალი მინისტრები სულ უნდა დავითხოვოთო.

— რათაო?

— მდიდრების მხარე უჭირამთო.

— ვინ უნდა იყვნენ მინისტრებათა!

სოფიკომ ჯერ მეამიტათ გაიცინა, მერე გაკვირვებით მკითხა:

— განა დასაჯერებელია? მუშები უნდა იყვნენ მინისტრებათო.

— ქუთაისში მოხდება მინისტრების ამორჩევა?

— ქალაქებიდან მისწერა ხალხმაო.

— მაშ ეგრე: ომში აღარ მიდის ხალხი.

— ჩვენ და ნემეცები ძმები ვართო, რათ უნდა ვიომოთო?

ნემენცები რომ ომობენ?!

— ისინი დაჰყრიან თოფ-იარაღს.

— როდის?

— ვინ გაიგებს ხალხის ყბედობას? ეშმაკმა იცის მართალია, თუ არა.

სიმინდების შუა მოიკეცა სოფიკომ, ნამგლის ტარზე დააბჯინა მუშაობით და მზისაგან გაწითლებული სახე და უსიტყვოთ, თითქო რაღასაც მკითხავდა შემომხედა. შემდეგ ახლად დაიწყო:

— ხან და ხან მგონია ვგიჟდები, როცა მოვიგონებ რა დღეში ვარ?

მტერი სულ წინ იწევს, ჩვენი ჯარი კი უკან მირბის, ტუტუცი იქნება ნემეცი არ შემოვიდეს. ქუთაისში უთქვამთ ილიკოსთვის—ჩვენი ნამდვილი მტერი ანგლია არისო.

— ეგ ნეტავი ვინ უთხრა ილიკოს?

— სულ ახალი აზრის ხალხმა, იმათ ბოლშევიკებს ეძახიან.

რიგიანათ ვერ გავიგე, ეს სიტყვა რას ნიშნავს?

მე აუხსენი, როგორაც ვიცოდი.

— თუ ის ოხერი ნემეცი არა ჰყრის თოფ-იარაღს, და მარდათ წინ მიდის, სულ იმის ხელში ჩავარდება რუსეთი, და ჩვენი საქართველო! ვაიმე, ვაიმე! მუხლები გამოითქვიფა სოფიკომ—ჩვენ, უმეცრებს რა გვესმის? მოშავდება ერთი ოხერი, ყბედობს რაც უნდა, ჩვენა გვგონია სულ მართალს ამბობს.

— რათა ოხერი? შენმა ძმამ არ გიამბო?

— მინამ ილიკო დაბრუნდებოდა, ჩვენთან მოვიდა სტუმრათ ერთი თე-

ლადელი ბიჭი, გაშოქცეული სალდათი. ილიკოზე მეტი იმან ილაპარაკა თავისუფლებაზე.

ილანძღებოდა, სულ ნასწავლმა ხალხმა დაგვღუპაო, წაგვიყვანენ ნასწავლი ხალხით და ისინი ჩაგვცრიანო ნემეცებშიო.

ოფიცრებს აქეთ თვეში 300 მანეთი სალდათებს კი 5 მან. არაო, ჩვენ უნდა მოგვცენო 300 მან. თვეში, ოფიცრებს—5 მან. იმიტომ, იმათ თავისი სარჩოც აქვთო...

— ჩემ ბებიაშვილს პავლეს, ხომ იცნობ—ბევრი აქვს სარჩო! ვალებში იხრჩობა.

სოფიკომ მწარედ გაიღიმა.

— ოი! ნუ კი გეწყინებათ, პავლეს დედ-მამას, სარჩოთი ისე სჯობია ჩვენი გლეხ-კაცი, როგორც დღე სჯობია ღამეს. მაგრამ, ხალხი გადაირია, ვის დაუჯერებ, რომ თავად-აზნაურ და ნასწავლ ხალხში ბევრია საცოდავი ღარიბი, ღატაკი?! ნეტავი კი ვიცოდე თუ მართლა მინისტრებად დანიშნეს უბრალო მუშები, როგორც ამბობდა ის გაშოქცეული სალდათი, როგორ წავა ჩვენი ცხოვრება?

ეს სთქვა გაკვირვებულის კილოთი, და მე შემომხედა.

— შენც, სოფიკო, ცოტა-ღა დაგვრჩა, რომ ვეცადოთ, დღეს მოვკრიბოთ სიმინდს. ხვალ დავიწყებთ ტაროების გარჩევას.—ბანზე გადაუძახა იმან სიტყვა . . . . . . .

. . . . . . . .

დ. ველდრებახელი.

17 სექტემბერი.

## არტაანის მხარეში*)

შემდეგ ვეწვიეთ სოფელს ზემო და ქვემო ხელიოვანს. ხელიოვანში დასაბამიდან ხელიოვნები ცხოვრობენ და სახელი ხელიოვანი ალბად ამიტომ დარქმევიათ. ქვემო ხელიოვანში კი არავინაა, სოფელი გაოხრებულია. მტკვრის გაღმა სოფ. ველიდან 15 ვერსის მანძილზე, სოფელი გუჯუბის იქით ერთი პატარა, მაგრამ მაღალი მთა მოსჩანს რომლის შეხედულობა ძლიერ წააგავს დიდს არარატს. აი, ამ მთაზე სდგას ერთი დიდი ეკლესია, რომლის ერთი კედელი-ღაა დარჩენილი; ეს კედელი თითქმის 5 საჟენის სიმაღლეა, რომელიც მიუხედავად მრავალი მთებისა და 40 ვერსის მანძილისა არტაანიდან ერთი ნახევარი კაცის სიმაღლეზე მოსჩანს. აქედან ს. გუჯუბარში შევიარეთ, სადაც 79 კომლი, ანუ 597 სული ქართველი მაჰმადიანებია. აქაური მცხოვრებთაგანმა ბევრმა იცის ქართული ლაპარაკი. თვით გუჯუბარში ერთი ეკლესიის ნანგრევია, მხოლოდ ერთი ვერსის მოშორებით კი ერთი საშუალო, მაგრამ ლამაზი და მაღალი გუმბათიანი ეკლესია სდგას, რომელიც გუმბათიანად შუაზე გახეთქილი და დანგრეული, მეორე ნახევარი კი მთელად სდგას. კედლებზე ეკლესიას აჩრდილივით ემჩნევა დიდი სურათები. გუჯუბიდან ს. გეჯი, ანუ „ღეჯი“-ში გადავედით. სიტყვა ღეჯი მეგრულია და ნიშნავს ღორს, შეიძლება, მართლაც სოფელს ღორის სახელი უწოდეს, რადგანაც თათრულში „გეჯი“ და არც „ღეჯი“ არ მოიპოვება. შეიძლება გეჯიც იყოს, რადგანაც სოფელი გეჯი საქართველოში მარტვილთან 15 ვერსის მოშორებითაა. აქ 36 კომლი ანუ 390 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობს. აქაც ეკლესიაა, რომელიც თუმცაღა სდგას, მაგრამ სრულიად გაძარცულია, ქვები ჩამოუხსნიათ. აქედან ს. ბერეში გადავედით. ბერე მეგრული სიტყვაა, ნიშნავს თოხს, თათრებს სიტყვა ბერე არა აქვთ. აქაც 46 კომლი, ანუ 642 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. ერთი ეკლესია დგას, იმავე სახისა, რაც გეჯში. ბერეიდან ს. კონქში გადმოვედით, აქაც 37 კომლი ანუ 400 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქაც იგივეთი სახის ეკლესიაა, რაც ბერეში. ს. კონქს 12 ვერსით ახლავს ალექსანდროპოლის მხარეს ს. ორუშეთი, აქ კი ქურთები სცხოვრობენ. აქაც ერთი პატარა ეკლესიაა, მაგრამ დანგრეულია და კედლებიღა დგას, მხოლოდ ორუშეთის იქით მთის ძირას ერთი დიდი ეკლესია დგას, რომელიც ძლიერ წააგავს გელათის მონასტერს და თითქის მთელიცაა. მასზე წარწერები ვერარ წავიკითხე, რადგანაც მაღლათაა და მასთან ნახევრად მოშლილი, შენობა აქაიქ ჩუქურთმულია და ლამაზი, წმინდათ გათლილი დიდრონ ქვებიდან. შიგნით სურათებიც ემჩნევა, ქართული-ხუცური წარწერებიცა აქვს, მაგრამ მათ წასაკითხავად გამადიდებელი შუშაა საჭირო. სახელი ამ ნასოფლარისა არავინ იცის. აქედან ს. ახალშენში გადავედი. აქაც ქურთები ცხოვრობენ. იქვე სოფლის ახლოს ეკლესია დგას, თითქმის ნახევრად დანგრეული და გაცარცული. სოფელ ახალშენიდან სოფელ ჯვარის ხევში ჩავედით. ეს სოფელი ჯვარეულიანა ხევში დგას, ალბად ამიტომ დარქმევიათ ჯვარის ხევი. აქ კი 52 კომლი, ანუ 395 სული ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ. აქაც ეკლესიაა, მაგრამ ნახევრად დანგრეული. ჯვარის ხევიდან სამი თუ ხუთი ვერსის სიშორეზე, მაღლა მთის ძირად სოფელი მაჩუეთია. აქაც 39 კომ., ანუ 419 სული ქართველი მაჰმადიანები ცხოვრობენ. იქვე 5 ვერსის მანძილზე ს. ნუნუსია, ნუნუსი ქართველი ქალის სახელია. აქაც 32 კომლი, ანუ 352 სული ქართვ. მაჰმ. ცხოვრობს. აქაც ეკლესიაა, მაგრამ დანგრეულია და კედლები-ღაა შერჩენილი. აქედან სოფლებ ზემო და ქვემო თამარში შევიარე, აქ კი თურქმანები ცხოვრობენ. თითო ეკლესია აქაც არის, მხოლოდ დანგრეულან, იქვე მოშორებით სოფელი ქირქიადანი არის. აქაც თურქმანებია. სოფლის გარედ მთის ძირას ციხის ნანგრევია. სოფელში ეკლესიაა. იქვე ახლოს ს. დამაქეია. აქაც თურქმანებია. იქვე სოფლის გარედ პატარა ეკლესიის ნანგრევია. იქვე 6 ვერსზე სოფელი შორს არის. სახელი შორს ყველამ ვიცით, რომ ქართულია. აქაც თურქმანები ცხოვრობენ. აქ სოფლის გარედ მოზრდილი ეკლესიის ნანგრევებია. ს. ჩამლი ჩაირშიაც გამოვიარე, აქაც თურქმანებია. იქვე სოფელში პატარა ეკლესიის კედლები-და დგას. აქედან სოფელ ვერანა ნაქალაქევშიაც შევიარე. აქაც თურქმანებია. აქ კი სოფლის გარშემო 4 ეკლესიის ნანგრევებია, ზოგი დიდია, ზოგიც პატარა. გარშემო ვერანა-ნაქალაქევისა ათამდე სოფელი ყოფილა, ყველას ქართული სახელები რქმევია, მაგრამ არავის ახსოვს მათი სახელი. სოფლების გარშემო 13 ეკლესიის ნანგრევებია აქედან პირდაპირ გავსწიე სოფელ კართანახევში. გზაზე ბევრი დანგრეული სოფლები და ეკლესიების ნაშთებია, მაგრამ სახელები არავინ იცის. სოფ. კართანახევი ზედგამოჭრილი სახელია ადგილ-მიდამოსი. მართლაც ზედ სოფელზე ვეებერთელა ხევი გადის. სოფელი წინად ათი საჟენით მაღლა მდგარა, მაგრამ რადგანაც მიწის ქვეშ ნიადაგი წყლიანია, ჩაწეულა. აქ 49 კომლი, ანუ 483 სული ქართ. მაჰმად. ცხოვრობს. აქაც არის ერთი ეკლესიის ნანგრევი. კართანახევის პირდაპირ მაღალ მთაზე ს. ყურტ-ყალაა, რაც ნიშნავს მგლის ციხეს. აქაც 39 კომლი, ანუ 406 სული ქართ. მაჰმადიანები ცხოვრობენ, მომეტებული ამათში ბერიძის გვარისანი არიან. ყურტყალას ცოტათი მოშორებით ერთი დიდი ციხე დგას, რომელსაც მგლის ციხეს უძახიან. ეს ციხე დიდ ვეებერთელა ციცაბო კლდეზე სდგას, საიდგანაც მტკვარს გადაჰყურებს დაბლა ხეობაზე...

კ. მარტვილელი.

(შემდეგი იქნება)

*) იხ. „საქართველო“ № 232.

## კორესპონდენცია

### გურიიდან

ს. ხიდისთავი. მრავალ ტანჯულ გურიას თავისუფლება ეღირსა. რამდენად გასახარელი იყო ჩემთვის, როგორც გურულისთვის, სამშობლოს ნახვა! იმ დროს, როდესაც გურია თავისუფლების მორევში ეს ექვსი შვიდი თვეა არის სცურავს, დარწმუნებული ვიყავი, რომ გურია, როგორც დემოკრატიულად მომზადებული, სხვა კუთხეზე უფრო შეუცდომლად შეჰხვდებოდა ამ დიად საქმეს, მაგრამ იმედი გამიცრუვდა: ამას წინად გიახელით სოფელ ხიდისთავში. ეს ის ხიდისთავია, რომელმაც თავისუფლების დროშა გურიაში პირველად ააფრიალა და მსხვერპლიც ბევრი შეიწირა. სწორედ რომ ამ სოფელს სხვა სოფლებზე მეტი მოეთხოვება და ამიტომ არ შემიძლია მეც მეტი არ მოვითხოვო მისგან, ვიდრე ჩვენი სხვა კუთხეებიდან. დღეს, როდესაც მთელი რუსეთი მოსაწყობი არის, როდესაც კონტრ-რევოლუცია საფრთხეს უმზადებს თავისუფლებას, როდესაც მთელი რუსეთი ანარქიის ბურუსს მოუცავს, ყველასა ჰმართებს სიფრთხილე და მით უმეტეს ჩვენ, ქართველებს. მერე რას ვხედავთ? აი, სხვა დროს ყველასთვის სამაგალითო გურია სოფლის ნაძირალების ხმას ასდევს. გვიდოთ უნდა ისეთი ფრიად სერიოზული და მძიმე საკითხი, რომლისა გურიაცაა სარწმუნოება. ამ ნაძირალებმა სოფლები გადარიეს. ღმერთზე და ხატზე ილაშქრებენ ხელს. და, როცა ჰხედავ, რომ ეს იმ დროს ხდება, როდესაც სოფლის გლეხ-კაცს არაფერი ამისა არ გაეგება, ზერელედ ეჭიდებიან მძიმე საკითხს, თამამად ვამბობ რომ ეს უვიცობისობაა და მეტი არაფერი. აი ამისი მაგალითიც: მარიამობისთვეში, სოფელ ხიდისთავში, იქაურმა მცხოვრებმა ანანი კალანდაძემ თავისი ოცი წლის შვილი, საშუალო სასწავლებლის მოწაფე, ისე დამარხა, როგორც საქონელი, ციმეტერის როგორც საქონელი-მკვდარი, მღვდლის, წესის არ აუგიათ, განა ამაზე შორს წავა ჩვენი გლეხ-კაცის დაცემა? ნუთუ ანანი კალანდაძე იმდენად მომზადებულად სთვლის თავს, რომ საკითხს ერთი ხელის მოსმით სჭრის, რაზედაც მეცნიერნი გარდაწყვეტის დროს შიშით და კრძალვით თრთოდნენ და საბოლოოდ ვერას ამბობდნენ? მაგრამ მას რა უნდა მოვთხოვოთ, ეს იმ მოინტელიგენტო ხალხის ბრალია, რომელნიც ასეთს საქციელს განვითარებას უძახიან! რომ პატარა ზრდილობა და დაკვირვება ჰქონდეთ, დაინახავდნენ, რომ თვით მათი ბელადნი კრძალვით უწევენ ანგარიშს ხალხის რწმენასა და ჩვეულებას. შორს რად წავიდეთ, განა კარლო ჩხეიძემ თავისი შვილი არ დამარხვინა ამ წესით? ვინ დაგვიყენოთ წინ, ამ ხალხის განათლება თუ უბრალო გურიის გლეხისა? განა ეს იმას ამტკიცებს, რომ კარლოს და მის ამხანაგებს სწამთ ასეთი ცერემონია? არა, მაგრამ ასეთს განათლებულ ხალხს ესმით რომ ათასი წლის ჩვეულება ასე უცბად არ შეიძლება გადავარდეს. ამის შემდეგ განა სავალალო არ არის, როდესაც გამოდის ვინმე ხელობით ხარაზი და ამტკიცებს, ღმერთი არ არისო!

—

როგორც ვიცით, კერძო საკუთრება არსად არაა ისე გავრცელებული მთელს რუსეთში და საქართველოში, როგორც გურიის გლეხთა შორის. ყველა განათლებულ ხალხს აკვირვებს, ვისთანაც მოსულა ლაპარაკი, გურიის გლეხის სოციალდემოკრატობა. ეს იმას ნიშნავს, რომ გლეხკაცობა პირდაპირ გამოურკვეველი არის. გურიის გლეხ-კაცობა მეტი ნაწილი ხათრით, მიბაძვით არის სოციალ-დემოკრატი. მაგრამ დღეს, როდესაც თავისუფლება მოვიპოვეთ, გლეხებიც ნელ-ნელა ირკვევიან. სასიხარულოა ეს მოვლენა. ცოდვაა, რომ გამოურკვეველთ რაიმე პარტიას მიეკედლო, როგორც გურიაში იციან გლეხთა შორის: „აბა და იმ პარტიის მიმდევარი ვარო“. მერე ისიც დღეს, როდესაც ასეთი ისტორიული საქმე გვიდგას წინ, როგორიც არის დამფუძნებელი კრება, რომელიც გადასწყვეტს მთელი რუსეთისა და საქართველოს ბედს. განა ცოდვა არ იქნება, რომ არჩევნებში ისეთს პარტიას მისცე ხმა, რომელსაც ვერც იცნობ და ვერც შეითვისებ, რადგანაც შენი მისწრაფებანი ძირიანად განსხვავდებიან „მისადევნ“ პარტიის იდეალებისაგან. საბედნიეროდ გურიაში ჩასვლისას დავრწმუნდი, რომ სოციალდემოკრატებს ბევრი ჩამოშორდებიან, თუმცა ჯერედ გარკვეული არ არიან, რომელ პარტიას გაუწოდონ ხელი. ამას კი სიამაყით ვამბობ, რომ ეროვნულ დემოკრატიულ პარტიამ გლეხთა შორის ნდობა მოიპოვა და ბევრმა ხელიც გაუწოდა. ოღონდ უბედურება ის არის, რომ ამ პარტიის ინტელიგენციას მარტო ქალაქებში უყვარს მუშაობა და სოფლებში კი არა. ხალხს აინტერესებს ჩვენი მიზნები, მისწრაფებანი, ამხსნელი კი არავინ არის. განა შეიძლება მარტო გაზეთით ჰკვებო ხალხი? ჯერ ხალხში, უმეტესად გლეხობაში, უნდა იმუშაო, დააინტერესო, რომ მერმე გაზეთს დაეწაფოს. ხიდისთავში მქონდა ლაპარაკი ეროვნულ-დემოკრატიულ კომიტეტის თავმჯდომარესთან, რომელმაც მიამბო რომ ქუთაისის კომიტეტს ვთხოვე დახმარება, დიდმა ხანმა გაიარა მას შემდეგ, მაგრამ კაცს არ გვიგზავნიანო. ეს პირდაპირი ქართველური დაუდევრობაა. ვინ არ იცის თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს კაცების ყოლას ჩვენისთანა ასეთს სოფლებში, როგორიც არის ხიდისთავი და ჩოხატაური! მერე იმ დროს, როდესაც საქმე მოგვარებულია, დაარსებულია კომიტეტები, ხიდისთავში კლუბიც კი დაარსეს და წარმომადგენელსაც სდგამენ პარტიის სახელით. საჭიროა ზრუნვა, კაცების გაგზავნა, რომ ჩვენი სოფლის მუშაკები გაამხნევონ, და ორგანიზაციულად პარტიის მოწყობას ხელი შეუწყონ.

დ. კალანდაძე

## ათონის მონასტრის საქმე

პირველ წერილში და აქაც გაუწყებთ ძველი ათონის ივერიის მონასტრის შესახებ, რომელიც შეიცავს ჩვენს ეროვნულს და კულტურულ სწავლა მეცნიერების მუდეს და აკვანს, ხოლო ქონებრივად და ისტორიულად უსაზღვრო სიმდიდრეს ქართ. ერისათვის. დანაშაულებად მიმაჩნია დუმილი მის შესახებ მით უმეტეს დღეს, როდესაც ათონში შენახული ისტორიული საბუთები დიდად გვჭირია ჩვენი თვითგამორკვევის საკითხთა გასაშუქებლად. თვით მონასტრის დაბრუნებაც ან ეხლა შეიძლება, ან არასოდეს. ამიტომ გავახსენებ ქართველ ერს, ყურადღებით მოეპყრან ამ საკითხს. რომ საქმეს ეშველოს, ჩემის აზრით, დაუყოვნებლივ უნდა შესდგეს კომიტეტი, რომელმაც უნდა იზრუნოს და იშრომოს და აწარმოოს ეს საქმე. ვისი მეთაურობით უნდა შესდგეს ეს კომიტეტი? რასაკვირველია, უწმინდესის და უნეტარესის პატრიარქის ბრძანებით და გაწკაზლულებით. როგორ პირებს შეუძლიანთ ამ კომიტეტში შესვლა? ყველა ქართველს მორწმუნეს და მოღვაწეს, ვინაიდან ყოველ ქართველს ნება აქვს ძველი ათონის ივერიის მონასტერი დაიბრუნოს. ეს კია, რომ პირველად უნდა ამოვირჩიოთ მცოდნე პირები, რომელთაც შეუძლიანთ მასალების შეკრება ერთად და შემუშავება, რაც კი ნამდვილ საბუთად გამოგვადგება. მასალები უნდა შემუშავდეს იურიდიულად, გამორკვევით და გამოწვლილვით. ჩემის აზრით ეს შეუძლიან ბ-ნ გიორგი გვაზავას და ვისაც ისურვებს თვითონ ის მას დაიხმარებს. უსათუოდ სამი იურისტი უნდა იყოს და საერთაშორისო ზავის კონფერენციაზედ კანონების დიდი მცოდნე; როდესაც გამოირკვევა იურიდიულად და შემუშავდება, მერმედ უნდა ითარგმნოს ფრანგულად და ბერძნულად, რადგან კონფერენციაზედ უეჭველია, ფრანგულად იქმნება ლაპარაკი და საბუთების განხილვა. ბერძნულად კიდევ იმიტომ უნდა ითარგმნოს, რომ ბერძნებთან გვაქვს საქმე და სადავო. გადათარგმნის შემდეგ უნდა დაიბეჭდოს წიგნად. ეს მასალები, რაც კი ეხლა ჩვენთვის არის საჭირო, მოიპოვება შემდეგ ადგილას: პირველი მასალები, ბ. ანტონ ნატროევის შედგენილ წიგნებში, მეორე მასალები პორფირი უსპენსკისა, რომელიც აღიწერა ძველ ათონზედ ჩვენი ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკიდგან, 1850 წ. შესწირა პეტროგრადის სახელმწიფო არხეოლოგიურს აკადემიას, ხოლო ჩვენ გამოვიწერეთ ეს მასალები პეტროგრადიდან ბ. ექვთიმე თაყაიშვილის ხელმძღვანელობით. ამასთანავე დაგვჭირდება ბ. ექვთიმე თაყაიშვილის შედგენილი წიგნებიც, სადაც ნაწყვეტ-ნაწილებად მრავალი კარგი მასალაა ჩვენი მონასტრის შესახებაც. ასეთივე საჭირო მასალებს წარმოადგენს თვით აღაშენებლობის წიგნი, რომელიც იქმნა გამოტანილი ჩვენი ივერიის მონასტრის ბიბლიოთეკიდან, გიორგი მთაწმინდელის დაწერილი, იგი დაბეჭდილია ბ. მოსე ჯანაშვილის მიერ. არა ნაკლებ საჭირო მასალები მოიპოვება მამა არქიმანდრიტ ნიკოლოზის ხელში, რომელსაც ბევრი შრომა და მოღვაწეობა მოუხდა კონსტანტინეპოლში და ათონში. იგი ახლაც მზად არის ძველი ათონის ივერიის მონასტრისთვის არ დაზოგოს თავის ძალ-ღონე. ახლა საქმე მიდგა ხარჯის შესახებ, თუ რომლის წყაროდგან უნდა დაიფაროს ამ ხარჯების მოთხოვნილებაზე? ამის შესახებ მე მოგახსენებთ, ვინაიდგან ძველი ათონის მთის ჩვენი ივერიის მონასტერი არ შეადგენს ერთის და ორის ქართველთა ქონებას, არამედ სრულიად საქართველოსას, ამისათვის შედგენილმა კომიტეტმა უნდა იქონიოს მსჯელობა და გამოითხოვოს შენდობა და ლოცვა-კურთხევა უწმიდესი და უნეტარესის პატრიარქისაგან, და შეადგინოს ათონის საქმის საწარმოებელი შემოწირულების ფონდი. ამასთანავე უნდა დაევალოთ გაზეთებს, რომ ამ საქმის შესახებ მოწოდების წერილები მოათავსონ თავიანთ გაზეთებში; ამნაირივე კომიტეტი უნდა შესდგეს ქუთაისშიც, რომელმაც უნდა გაუწიოს თანამშრომლობა თბილისის კომიტეტს. პატივისანო მკითხველნო, მე ჩემი აზრი გამოვსთქვი, უკეთესი და უმჯობესი ახლა თქვენ იზრუნეთ.

მღვდელ-მონაზონი სამპსონი

## ღია წერილი

მომხმარებელთ საზოგადოების „დახმარება“-ს გამგეობისადმი.

როგორც მოგეხსენებათ, 1917 წ. თებერვალში დაარსდა მომხმარებელთ საზოგადოება „დახმარება“. დროებით ბ-ნ ირაკლი თაზიშვილს მიენდო მისი გამგეობა. მიუხედავად ამისა, აგერ რვა თვეა, „დახმარებაში“ მუდმივი გამგე არ არის, თუმცა ისევ ბ-ნი თაზიშვილი განაგებს მას. ბ-ნ ირაკლი თაზიშვილს აბარია სამი თანამდებობა სხვა და სხვა დაწესებულებაში, ცხადია, მას არ შეეძლება მუდმივ იყოს „დახმარებაში“, რის გამო სავაჭრო საქმეები სასურველად არ არის დაყენებული. მაგალითად, როდესაც „დახმარებაში“ საქონელი მოსულა, თაზიშვილს უთქვამს, ვიდრე მე არ მოვიდე საქონელი უჩემოდ არ გახსნათო. ვიდრე სხვა დაწესებულებებში თავის თანამდებობას არ მორჩება თქმა არ უნდა, „დახმარებაში“ ვერ მოვა და საქონელი გაუხსნელი დარჩება. ან არა და—დახლიდარი თაზიშვილთან, სადაც ეს მსახურებს, მისვლა-მოსვლაში ანდომებს და ეკითხება: ეს საქონელი როგორ ვიყიდო და ან რა ფასები მივცეო. გარდა ამისა კახეთის რკინის გზის საზოგადოებიდან მოაქვს საქონელი „დახმარებისთვის“ და, რასაკვირველია, საქონელი ძვირად უნდა გაიყიდოს. და, მართლაც, ყველა კოოპერატივებზედ ამ „დახმარებაში“ საქონელი უფრო ძვირად იყიდება. მაგალითად, ასანთი მთელი ყუთი 52 მანეთს ფასობს, ესე იგი, 10 ცალი 52 კაპ. მოდის, „დახმარებაში“ კი იყიდება 60 კაპ. „მეურნეში“ კი 55 კაპ. ფასობს, ისიც „ლაპშინა“.

აგრეთვე „დახმარებაში“ ყველი ფასობს 1 გირ. 1 მან. 70 კაპ. ჩვენ კი ვიცით, რომ ყველი ჩამოტანით ჯდება 48 მან.—52 მან. საუკეთესო ყველი, 1 გირი 1 მ. 38 კაპ. 32 კაპ. მოგება გირვანქაზედ მეტის მეტია, ეს შეეფერება მხოლოდ ჩარჩებს და არა კოოპერატივის დაწესებულებას!

სარეცხის საპონს „დახმარებაში“ ჰყიდიან „ნახჩევანის“ 1 გირ., ე. ი. ერთს ნაჭერს 90 კაპ., მეურნეში კი იყიდება 75 კაპ.

11 სექტემბერს ერთ მყიდველ ჩაიზე, რომელიც ფასობს 80 კაპ., ერთ მუყაოზე 1 მან. 20 კ. ახდევინებდა დახლიდარი, როდესაც მყიდველმა პროტესტი განაცხადა, მაშინ 20 კაპ. დაუკლო დახლიდარმა.

მაგალითისთვის ესეც კმარა,—მაგრამ მაგარი ის არის, რომ ბ-ნი თაზიშვილი „დახმარების“ წევრებს სხვა და სხვა ნაირად სცემს პატივსა, ე. ი. ერთ წევრს აძლევს 1 ფ. საპონს—28 მან., მეორე წევრს კი ნახევარ ფ. 19 მან. პირიქით, როდესაც საშუალო ფეხის ყველი ჩამოიტანეს „დახმარებაში“, ერთს მიყიდა 1 ფ. ყველი, მეორეს 20 გირ. ისიც არა წევრებს. ეს ზემოთ აღნიშნული ფაქტი 5 სექტ. მოხდენილი არის. თუ გამგეობამ იცის ყველა ეს, რატომ არაფერს ღონისძიებას იღებს, თუ არა და ვთხოვთ, დანიშნოს მუდმივი პასუხის მგებელი გამგე, იგივე ბუღალტერიც იქნება.

წევრი ვ. ი—შვილი

რედაქტორი გრიგოლ ვეშაპელი.

## კალენდარი

შაბათი ენკენისთვის

30

ქართვ. წმ. მღვდ.-მოწამისა გრიგოლი დიდისა სომეხთა. განმანათლებლისა; მოწ. რიფსიმესი, გაიანესი და ინდისი.

კათოლ. წმ. გერონიმისი.

სომეხ. წმ. გიორგი მხედართმთავარი. ლუკტი და რომანოს.

მაჰმად. შაბან 26 რ. ზულჰიჯა 1335 წ. ჰიჯრისა.

ებრაელ. შაბათ 27 რ. თიშრისა 5678 წ. ქვ. შექმ.

### ამიერ-კავკასიის რკ. გზის მატარებლების მოძრაობა

(დრო ნაჩვენებია თფილისის)

თფილისიდან გადის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმისაკენ | საფ. | № 5, | 11.32 | დღ. |
| „ | სამგზ. | № 9, | 11.28 | საღ. |
| ალექსანდროპოლისაკენ | სამგზ. | № 19, | 8, 17 | დღ. |
| „ | „ | № 17, | 8.19 | დღ. |
| ბაქოსაკენ | ჩქარ. | № 6, | 9.51 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 8.46 | საღ. |
| ყარსისაკენ | სამგზ. | № 4-8, | 12.15 | საღ. |

თფილისში მოდის:

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| ბათუმიდან | სამგზ. | № 10, | 8.35 | დღ. |
| „ | საფ. | № 4, | 7.41 | საღ. |
| ალექ.-პოლიდ. | სამგზ. | № 20, | 7.57 | დღ. |
| „ | სამგზ. | № 18, | 9.50 | საღ. |
| ბაქოდან | საფ. | № 8, | 10.26 | დღ. |
| „ | ჩქარ. | № 5, | 10.20 | საღ. |
| ყარს-ჯულფ. | საფ. | № 3, | 7.53 | დღ. |

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს უფლებაში მყოფი
## კომერციულ ცოდნათა
კურსები
## ტ. მ. ფილოიანისა
ორივე სქესისთვის
(თბილისი, მიხეილის პროსპ. № 24, ტელ. № 976).
თხოვნების მიღება: 4—5 საათ. საღამოთი. მეცადინეობა დაიწყება 15 სექტემბერს. პროგრამები და წესდებანი მსურველთ გაეგზავნებათ, ან მიეცემათ უსასყიდლოთ კურსების კანცელარიაში.
თ—734—29

## საავადმყოფო
ხამხედრო [illegible] სპეციალისტების მონაწილეობით [illegible]:
[illegible] ქუჩა № 8. ალექსანდროვის ბაღთან ახლო, ტელეფონი 431.
ავადმყოფების მიღება: დილის 10 საათიდან 5 საათამდე.
ბელაშვილი—[illegible] შინაგან ავადმყოფობისა. ლეჩებულობს 10—12 ს. ყოველდღე.
[illegible]—თვალის ავად. 2—3 საათ. ორშაბათობით და ოთხშაბათობით.
ახმეთელი—ყელის, ყურის და ცხვირ. —2 საათ. ორშაბათ. და ოთხშაბათ.
[illegible]—ქირურგ. ავად. 12—1 საათამდე.
[illegible]—ბავშვთა შინაგან ავად. 1—3 საათამდე ყოველ დღე.
[illegible]—შინაგან და ნერვიულ ავ. 12—1 საათ. ხუთშაბ. და კვირაობით.
[illegible]—ქალთა და ბავშვთა ყოველ-დღე 2—3 საათამდე.
[illegible]—ქალთა და ბავშვთა ავად. ლეჩებულობს ორშ., ოთხშ. და პარ. 11—12 ს.
[illegible]—ვენერიული ავად. ყოველ-დღე 10—11 საათამდე.
[illegible]—ქალთა ავად. სამშაბათ. ხუთშაბ. და შაბათობით 12—1 საათ.
[illegible]—ქალთა და ქირურგ. ავად. ყოველდღე ქირურგ. 2—3 საათამდე. ქალთა ავადმყოფ. 3—4 საათამდე.
[illegible]—კბილის ექიმი ყოველ-დღე 3—5 საათამდე.
[illegible]—კბილის ექიმი ყოველ-დღე 10—12 საათამდე.
100—667—75

[illegible]
## ძმ. [illegible]
[illegible] ქუჩა, [illegible] № 9, ტელეფონი № 712.
[illegible]